პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977
ოთხშაბათი
12
იანვარი
№ 9
(16746)
ფასი
2 კაპ.
1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

КОМУНИСТИ — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

სოფლის მშრომელთა საბრძოლო ვახტი

ბრესაში გამოქვეყნდა უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილი კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მექანიზატორებს, მეცნიერებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, სოფლისათვის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებათა მიმწოდებელი მრეწველობის მუშაკებს, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს. მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ახალი ზრუნვის დადასტურებაა ეს წერილი. განუზომლად დიდია მისი მნიშვნელობა. პარტია ახალ სამოქმედო პროგრამას უსახავს ჩვენი ქვეყნის სოფლის მშრომელებს, სოფლისათვის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებათა მიმწოდებელი მრეწველობის მუშაკებს, მეცნიერებს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, რომელიც მომავალ შემოდგომაზე იზეიმებს თავისი არსებობის მე-60 წლისთავს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილში ნათქვამია:

„ცენტრალური კომიტეტის აზრით, 1977 წლის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში ახლა განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩვენი მუშაობის ორ გადაუდებელ მიმართულებას: საგაზაფხულო თესვისათვის მზადებას და პირუტყვის გაამზამდრებას“. მეათე ხუთწლედის მეორე წლის დასაწყისშივე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი კვლავაც ჩვეული გულისხმიერებით, გასული წლის შედეგების გულდასმით გაანალიზებით ხუთწლედის მეორე წლის ძირითად ამოცანებს ამახვილებს ყურადღებას, რომ აქედანვე მტკიცე საფუძველი ჩაუყაროთ უხვ მოსავალს, რომ უფრო მეტი მეცხოველეობის პროდუქტები ვაწარმოოთ. ყოველივე ეს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომ აღმავლობაზე ზრუნვის დიდი გამოხატულებაა.

შარშან საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების სოფლის მშრომელებთან ერთად საქართველოს სოფლის მშრომელებმა, გვალვიანი ზაფხულისა და ავდრიანი შემოდგომის მიუხედავად, გამოცდა კარგად ჩააბარეს, მემინდვრეებმა 200-ათასტონიან მიჯნას პირველად გადააბიჯეს; ამდენი მარცვალი ჯერ არც ერთ წელიწადს არ დაუმზადებია. მეჩაიეებმა კი 356 ათას ტონა „მწვანე ოქრო“ მიჰყიდეს სახელმწიფოს და ამით ახალი ხუთწლედის ბოლო წლის ზღუდე აიღეს. ნარმატებები მოიპოვეს ბეღოსტნეებმა, მეხილეებმა, მეკარხლეებმა, მეცხოველეებმა. ძლიერი ყინვების მიუხედავად სათანადო მოსავალი მიიღეს აგრეთვე მევენახეებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია დასავლეთ საქართველოს მეზვრეების წარმატება, რომლებმაც საამაყო მაჩვენებლები მოიპოვეს. ყოველივე ეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დიდი ორგანიზატორული მუშაობით, საბჭოთა, პროფკავშირული, და კომკავშირული, სახოფლო-სამეურნეო ორგანოების, სოფლისა და ქალაქის მშრომელთა დაძაბული, ენერგიული შრომით არის მიღწეული.

ამასთანავე სკკპ ცენტრალური კომიტეტის აზრით, — ნათქვამია წერილში, — მიღწეული წარმატებები თვითდამშვიდების საფუძველს არ გვაძლევს. უდიდესი მეცადინეობის მიუხედავად, ზოგან მთლიანად ვერ დაძლიეს უამინდობის გავლენა, და სახოფლო-სამეურნეო წარმოების საბოლოო შედეგები უფრო ნაკლები გამოდგა, ვიდრე გეგმებითა და ვალდებულებები იყო დასახული. ეს პირველ რიგში ეხებათ ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონების მევენახეებსა და მეციტრუსეებს, მემინდვრეებს, სადაც მცირემოსავლიანობა მთლიანად უამინდობას დაუბრალეს.

გასულ ზაფხულს, როცა პირუტყვის საკვების წლინახევრის მარაგის შესაქმნელად დიდი და პატარა მინდვრად იყო გასული, ბევრი რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა წარმატებებს მიაღწიეს, მაგრამ თივის, ნამჯის სენაჟისა და სილოსის დამზადების გეგმები ზოგან ვერ შეასრულეს. უხეში საკვების დამზადების გეგმა თითქმის რაიონმა სანახევროდაც ვერ შეასრულა. გარდა ამისა, მათ თივა ნაცვლად 9.000 ტონისა მხოლოდ 4.195 ტონა მოიმარაგეს. სილოსის დამზადების გეგმები სანახევროდ ვერ შეასრულეს წალკის, დუშეთის, თეთრი წყაროს და სხვა რაიონებმა. თეთრწყაროელებმა სილოსის დამზადების გეგმა 34 პროცენტით შეასრულეს, ნაცვლად 24.539 ტონისა მხოლოდ 8.448 ტონა სილოსი აქვთ. უარესი მდგომარეობაა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, სადაც გეგმა მხოლოდ 21 პროცენტით შეასრულეს, 17.614 ტონის ნაცვლად 3.660 ტონა სილოსი აქვთ. საინტერესოა, როგორ ფიქრობენ აქ პირუტყვის ზვნიანი საკვებით უზრუნველყოფას?

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ჯერ კიდევ 1975 წელს XVIII პლენუმზე, გამოსვლებში, შემდეგ კი ცალკეულ დადგენილებებში მთელი პარტიული პრინციპულობით მოითხოვდა, რომ მეცხოველეობა გადავაქციოთ მაღალშემოსავლიან, რენტაბელურ დარგად. ამისათვის საჭიროა სახოფლო რაიონების პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა და სამეურნეო ორგანოებმა გადამჭრელი ღონისძიებანი განახორციელონ პირუტყვის ხულადობისა და პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

მიუხედავად ამისა მთელი ინერგება მოწინავეთა გამოცდილება და მეცნიერების მიღწევები, ხამუშაოთა წეკანიზაციის დონე კვლავ შეუწყნარებლად დაბალია. ყოველივე ეს იწვევს პროდუქტების წარმოების შემცირებას, დანახარჯების გადიდებას. ამოცანა ახლა ის არის, რომ წინა წლების შეცდომები დროზე გამოვახწოროთ, ფერმებში შეკმნათ შრომის სანიმუშო პირობები, მაღალი წარმადობით გამოვიყენოთ მანქანები.

პირუტყვის მეტი რაოდენობის ყუთათანი საკვები პროდუქტიულობის გადიდების უტყუარი საშუალებაა. 1977 წელს რესპუბლიკაში უნდა დამზადდეს: 900 ათასი ტონა სენაჟი, 560 ათასი ტონა თივა, 470 ათასი ტონა სხვა უხეში საკვები, 860 ათასი ტონა სილოსი, 149 ათასი ტონა ძირხვენები, 36 ათასი ტონა ბალახის ფქვილი, 200 ათასი ტონა ნაფურაჟე მარცვალი, აქედან 5 ათასი ტონა სოია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცედ მოითხოვს, რომ პირუტყვის საკვების დაგროვებისათვის წინაპირობები აქედანვე შეექმნათ.

ახლა შუა ზამთარია, რაიონების პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელების, სპეციალისტების, მეცხოველეობის გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ პირუტყვი ნორმალურად გამოაზამთრონ, საკვები ხარჯონ დანიშნულებით, მომჭირნედ, ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ ზამთარშიც არ შემცირდეს წველადობა.

ზამთრის ეს დღეები სოფლის მშრომელებმა, სპეციალისტებმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერ-მუშაკებმა შემოქმედებითად უნდა გამოიყენონ, ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ პირუტყვი ნორმალურად გამოაზამთრონ, არ შენელდეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და მომზადებული შენგდნენ საგაზაფხულო სამუშაოებს დაწყებას. ახლა სახელოსნოებში მიმდინარეობს ტრაქტორებისა და სხვა იარაღ-მანქანების რემონტი. ეს საქმე დროზე უნდა მოვთავოთ, ამასთან ზამთრის პერიოდში უნდა მოვამზადოთ მექანიზატორთა კადრები, რომ გაზაფხულზე სამუშაოები არ შეფერხდეს.

ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლა საყოველთაო-სახალხო საქმედ გამოაცხადა. სოფლის მშრომელები პირველ რიგში დახმარებას ელიან იმ საწარმოებისაგან, რომლებიც მათთვის მანქანებს, სასუქს და სხვა საჭირო მასალებს ამზადებენ. ამ ბოლო წლებში სოფლისადმი ქალაქის საშეფო დახმარების კარგი ტრადიცია დამკვიდრდა ჩვენს რესპუბლიკაში. ეს ტრადიცია უფრო უნდა გაღრმავდეს, გაფართოვდეს და ახალი შინაარსი მიიღოს.

საქართველოს სოფლის მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

ჩვენი პარტია მოგვიწოდებს, რომ სოფლად ახალი ძალით გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება, რომ უფრო მეტ წარმატებებს მივაღწიოთ ხუთწლედის მეორე წელს. საქართველოს სოფლის მშრომელთა საბრძოლო ავანგარდია ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აღნიშნონ ახალი შრომითი მაჩვენებლებით.

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის შესახვედრად

მაღალი ეფექტიანობისა და ხარისხისათვის

რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების 1977 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა

მეათე ხუთწლედის პირველ წელს კოლმეურნეობის შრომითი ერთეულებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 62.300 ცენტნერი ყურძენი, გეგმით გათვალისწინებული 52.300 ცენტნერის ნაცვლად, 2.731 ცენტნერი მარცვლეული, გეგმით გათვალისწინებული 2.500 ცენტნერის ნაცვლად, 6.380 ცენტნერი ბოსტნეული, 4.805 ცენტნერის ნაცვლად, 2.670 ცენტნერი ხილი, 1.750 ცენტნერის ნაცვლად. ასევე კარგად იშრომეს მეურნეობის მეცხოველეებმა, რომლებმაც სახელმწიფოს მიჰყიდეს 628 ცენტნერი ხორცი, ნაცვლად 420 ცენტნერისა, 2.870 ცენტნერი რძე, ნაცვლად 2.350 ცენტნერისა, 141 ათას ცალზე მეტი კვერცხი, ნაცვლად 115 ათასისა. სახელმწიფოს მოეყიდა 200 ცენტნერი აბრეშუმის პარკი, გეგმით გათვალისწინებული 180 ცენტნერის ნაცვლად. შარშან საშუალო ჰექტარობრიგმა მოსავლიანობამ კოლმეურნეობაში შეადგინა: ყურძენისამ — 103,5 ცენტნერი, გეგმით გათვალისწინებული 84 ცენტნერის ნაცვლად, ხილისამ — 100 ცენტნერი, 87 ცენტნერის ნაცვლად, მარცვლეულისამ — 29,6 ცენტნერი, 21,1 ცენტნერის ნაცვლად. თვითეულ ძროხაზე მიღებულია 2.084 ლიტრი რძე, 1973 ლიტრის ნაცვლად, ყოველ 100 ძროხაზე მიღებულია 86 ხბო, ყოველ ნეზვზე — 11 გოჭი, ყოველ მოქცეულზე — 132 ცალი კვერცხი, 122 ცალის ნაცვლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის დადაწყვეტილებები აღფრთოვანებულმა ჩუმლაყელებმა, რომლებსაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ახალი წარმატებებით შეეგებონ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს, გააანალიზეს თავიანთი შესაძლებლობანი და ხუთწლედის მეორე წლისათვის იკისრეს შემდეგი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი:

აწარმოონ:

80.000 ცენტნერი ყურძენი, გეგმით გათვალისწინებული 59.940 ცენტნერის ნაცვლად;

8.500 ცენტნერი მარცვლეული, 7.080 ცენტნერის ნაცვლად;

3.500 ცენტნერი ხილი, 2.340 ცენტნერის ნაცვლად;

6.500 ცენტნერი ბოსტნეული, 5.110 ცენტნერის ნაცვლად;

2.000 ცენტნერი ბაღნეული, 1.400 ცენტნერის ნაცვლად.

ჩუმლაყელებმა მხარი დაუჭირეს კიეველ მეცხოველეთა ინიციატივას და გადაწყვიტეს:

აწარმოონ:

1.000 ცენტნერი ხორცი, გეგმით გათვალისწინებული 920 ცენტნერის ნაცვლად;

3.700 ცენტნერი რძე, 3.570 ცენტნერის ნაცვლად;

250 ათასი ცალი კვერცხი, 220 ათასის ნაცვლად;

მიიღონ:

თვითეულ ძროხაზე — 2.300 ლიტრი რძე, გეგმით გათვალისწინებული 2.100 ლიტრის ნაცვლად;

ყოველ 100 ძროხაზე — 92 ხბო, 90-ის ნაცვლად;

თვითეულ ნეზვზე — 12 გოჭი, 11-ის ნაცვლად;

თვითეულ მოქცეულზე — 130 ცალი კვერცხი, 122-ის ნაცვლად.

წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის № 4 მევენახეთა ბრიგადა

ბრიგადას მიჩენილი აქვს 51 ჰექტარი ნსხმოიარე ვენახი, აქედან 10 ჰექტარი უკავია „კაბერნეს“ ჯიშს, დანარჩენი — „რქაწითელს“. უამინდობის მიუხედავად მეცხრე ხუთწლედში კოლექტივმა აწარმოვა 1.486 ტონა ყურძენი, გეგმით გათვალისწინებული 799 ტონის ნაცვლად და ამით საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა 95,2 ცენტნერამდე აიყვანა.

ბრიგადამ, რომელსაც კარგად აქვს შეგნებული, რომ ყურძნის უხვი მოსავალი ბევრად არის დამოკიდებული ვენახების სიმეჩხრის შემცირებაზე, მეცხრე ხუთწლედში გადაამწვანა და დარგო 17.800 ძირი ვაზი. 1976 წლის ინვენტარიზაციის შედეგად გამოირკვა, რომ კიდევ უნდა გადაწვინონ და დარგონ 835 ძირი ვაზი. გადაწყვიტეს, რომ ეს სამუშაო წელს შეასრულონ.

ვენახების სიმეჩხრის ლიკვიდაციის, მათი მოვლის გაუმჯობესების, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლებისა და სხვა ღონისძიებათა განხორციელების გზით მეათე ხუთწლედის პირველ წელს ბრიგადამ აწარმოოა 482 ტონა ყურძენი და სამუშაო ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ 92,5 ცენტნერი შეადგინა, აქედან „რქაწითელის“ ჯიშის ყურძნის მოსავლიანობამ — 104 ცენტნერი.

ბრიგადის კოლექტივმა, რომელიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ჩაება, მიზნად დაისახა წელს აწარმოოს 684 ტონა ყურძენი, ხოლო საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა 120 ცენტნერამდე გაადიდოს. წარმატების საწინდარი ის არის, რომ ბრიგადისათვის მიჩენილი ვენახები მთლიანად დამუშავებულია, შეკეთებულია და სასუქები შეტანილია.

გარდაბნის რაიონის ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკა

ფაბრიკის კოლექტივმა მეათე ხუთწლედის პირველი წელი მნიშვნელოვანი წარმატებებით დაამთავრა. ფაბრიკაში გეგმის გადამეტებით წარმოებულია 4,5 მილიონი ცალი კვერცხი, სახელმწიფოს მიეყიდა 4,3 მილიონი, ყოველ მოქცეულზე მიღებულია 30 კვერცხით მეტი დაგეგმილთან შედარებით, მიღებულია 300 ათასი მანეთით მეტი მოგება, ვიდრე დაგეგმილი იყო. შრომის საყოფიერება გადიდდა 11,3 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 5 პროცენტით, 1.000 კვერცხის წარმოებაზე საკვების დანახარჯები შემცირდა 0,2 ცენტნერი საკვები ერთეულით.

ფაბრიკის კოლექტივმა, რომელსაც კარგად ესმის ქალაქების თბილისისა და რუსთავის მოსახლეობის მეფრინველეობის პროდუქტებით მომარაგების დიდი მნიშვნელობა, ვალდებულება იკისრა 1977 წელს:

აწარმოოს 23 მილიონი ცალი კვერცხი საგეგმო 20 მილიონის ნაცვლად;

ჩააბაროს სახელმწიფოს 22 მილიონი კვერცხი საგეგმო 19 მილიონის ნაცვლად;

აწარმოოს და ჩააბაროს 630 ტონა ფრინველის ხორცი დაგეგმილი 560 ტონის ნაცვლად;

შეამციროს ცენტნერი ხორცის თვითღირებულება 8 მანეთით, ხოლო 1.000 კვერცხისა — 4 მანეთით;

მიიღოს ყოველ მოქცეულზე 216 კვერცხი დაგეგმილი 185-ის ნაცვლად;

გაზარდოს შრომის საყოფიერება 14 პროცენტით, დაზოგოს ყოველი ათასი ცალი კვერცხის წარმოებაზე 0,2 ცენტნერი საკვები ერთეული, ხოლო ცენტნერი ხორცისაზე — 0,1 ცენტნერი საკვები ერთეული.

შეასრულოს წლიური გეგმა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსსაწყლოების ფონდისათვის.

აქ გადაწყვეტეს ფაბრიკის მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად ააშენონ კლუბი, სპორტული ბაგა-ბაღი, რეაწლიანი სკოლა, გაიყვანონ მუდმივი გზა, გააუმჯობესონ ფაბრიკისა და დაბის წყალმომარაგება, რეკონსტრუქცია ჩაუტარონ მაღაზიას, გახსნან საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, კეთილმოაწყონ ფაბრიკისა და დაბის ტერიტორია.

ფაბრიკის კოლექტივმა დარგის ყველა მუშაკს მოუწოდა გააფართოონ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ჩაბმული მშრომელთა რიგები და ახალი შრომითი წარმატებანი მოიპოვონ ხუთწლედის მეორე წელს.

(საქინფორმი).

შეჯიბრების მოწინავენი

ნოვემბრიდან ბრიგადა

წარმოების ყველა რგოლში, ქვეყნის ნებისმიერ კუთხეში ... ამ მოწოდებით გამოვიდა შარშან თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი გ. კურტანიძე ხელმძღვანელობს.

გ. კურტანიძის ბრიგადა წლეულსაც შეჯიბრების სათავეშია. იგი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, რომლებიც წარმოადგენენ სამოქმედო პროგრამას მეათე ხუთწლედის მეორე წელს ახალი წარმატებების მოპოვებისათვის.

მშობლიური კომუნისტური პარტია მოგვიწოდებს მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის ახალ აღმავლობას, უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება 1977 წელს. წლეულს უკეთესად უნდა ვიშრომოთ, ვიდრე შარშან. ეს კარგად აქვთ შეგნებული მაიაკოვსკის რაიონის მევენახეებს.

სოფელ ფერსათის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ შარშან წარმატებით დაძლია ბუნების ჭირვეულობა და ყურძნის უხვი მოსავალი მიიღო — სახელმწიფოს მიჰყიდა 198 ტონა ყურძენი ნაცვლად 181 ტონისა. წლევანდელ უხვ მოსავალს ახლა ეყრება საფუძველი. 36 ჰექტარზე უკვე გამობარულია ვაზის ძირები, 21 ჰექტარზე შეტანილია მინერალური და ორგანული სასუქები, შარშან გაშენდა 7 ჰექტარი ახალი ვენახი ნაცვლად 5 ჰექტარისა.

პირადად მე მოსავლელ ნაკვეთზე შარშან მივიღე 2.218 კილოგრამი ყურძენი ნაცვლად 1.600 კილოგრამისა. წლეულს ვიბრძვი უფრო უხვი მოსავლის მიღებისათვის. მთლიანად გამოვბარე ვაზის ძირები, შევიტანე მინერალური და ორგანული სასუქები. ყველა სამუშაოს ვასრულებ აგროტექნიკურ ვადებში.

პირობას ვდებ წლეულს ყურძნის მოსავლიანობა შარშანდელთან შედარებით მკვეთრად გავადიდო, ამით ჩემს წვლილს შევიტან მშობლიური პარტიის მიზნდასახულობათა განხორციელებაში.

გ. მინდელი,

მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ფერსათის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მევენახე, საქართველოს კპ XXV ყრილობის დელეგატი.

ზუთწლედი ვადამდე!

პარტიის მოწოდებას საქმით ვუპასუხებთ

საქართველოს მშრომელთა ერთსულოვნება

ჩვენი სამოქმედო პროგრამა

გულდასმით გავეცანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, რომლებიც წარმოადგენენ სამოქმედო პროგრამას მეათე ხუთწლედის მეორე წელს ახალი წარმატებების მოპოვებისათვის.

მშობლიური კომუნისტური პარტია მოგვიწოდებს მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის ახალ აღმავლობას, უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება 1977 წელს. წლეულს უკეთესად უნდა ვიშრომოთ, ვიდრე შარშან. ეს კარგად აქვთ შეგნებული მაიაკოვსკის რაიონის მევენახეებს.

სოფელ ფერსათის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ შარშან წარმატებით დაძლია ბუნების ჭირვეულობა და ყურძნის უხვი მოსავალი მიიღო — სახელმწიფოს მიჰყიდა 198 ტონა ყურძენი ნაცვლად 181 ტონისა. წლევანდელ უხვ მოსავალს ახლა ეყრება საფუძველი. 36 ჰექტარზე უკვე გამობარულია ვაზის ძირები, 21 ჰექტარზე შეტანილია მინერალური და ორგანული სასუქები, შარშან გაშენდა 7 ჰექტარი ახალი ვენახი ნაცვლად 5 ჰექტარისა.

პირადად მე მოსავლელ ნაკვეთზე შარშან მივიღე 2.218 კილოგრამი ყურძენი ნაცვლად 1.600 კილოგრამისა. წლეულს ვიბრძვი უფრო უხვი მოსავლის მიღებისათვის. მთლიანად გამოვბარე ვაზის ძირები, შევიტანე მინერალური და ორგანული სასუქები. ყველა სამუშაოს ვასრულებ აგროტექნიკურ ვადებში.

პირობას ვდებ წლეულს ყურძნის მოსავლიანობა შარშანდელთან შედარებით მკვეთრად გავადიდო, ამით ჩემს წვლილს შევიტან მშობლიური პარტიის მიზნდასახულობათა განხორციელებაში.

გ. მინდელი,

მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ფერსათის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მევენახე, საქართველოს კპ XXV ყრილობის დელეგატი.

ზამთარი ვერაფერს დაგვაკლებს

თეძვსმეები წელია მეცხოველეობის ფერმის გამგედ ვმუშაობ. ასეთი დიდი ზრუნვა ამ დარგის განვითარებისა და ჩვენი შრომის დაფასებისადმი არასოდეს მიგრძვნია.

ახლახან შექმნილი ბარდუბნასა მეცხოველეობის რაიონული გაერთიანების მუშაკებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილი შემოგვიტანეს. ჩვენი მეცხოველეები ხელდამშვენებული შეხვდნენ ახალ წელს. ხუთწლედის პირველ წელს სახელმწიფოს მივყიდეთ 300 ტონა რძე და 125 ტონა ხორცი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება გეგმას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილის თაობაზე თავიანთი აზრი გამოთქვეს მოწინავე მწველავებმა გ. კლდიაშვილმა, ნ. ჭანტურიძემ, ე. ცქიფურიშვილმა, ც. მაკარიძემ და სხვებმა. მათ ვალდებულება იკისრეს თვითეული ძროხის წველადობა საშუალოდ 3.000 კილოგრამამდე გაზარდონ და დიდი გადამეტებით შეასრულონ ხორცისა და რძის წარმოების საერთო დავალება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა.

ზამთარი ახლახან დაიწყო, თოვს, მაგრამ ფერმის 1.200 სული პირუტყვი სანიმუშოდ იზამთრებს, დათბუნებულია ბინები, საქმიდან არის მომარაგებული საკვები, გაზაფხულისათვის მომზადებული გვაქვს მწვანე კონვეიერი — 130 ჰექტარზე გვითესია ტურნეფსი და შვრია, ხოლო იონჯის ფართობებს 23 ჰექტარი უჭირავს. ასე რომ, მთელ წელიწადს წველადობა არ შეწყდება და სიტყვას საქმედ ვაქცევთ.

რ. ალფაიძე,

თერჯოლის რაიონის ბარდუბნის მეცხოველეობის რაიონული გაერთიანების ფერმის გამგე, ლენინის ორდენოსანი.

თებერვლის ანგარიშში

ტყიბული. (საკ. კორ.). **დიდი ოქტომბრის მე-60 საიუბილეო წლის შრომით ვახტზე ერთ-ერთი პირველი დადგა ლენინის სახელობის შახტის მეექვსე საექსპლოატაციო უბანი,** რომელსაც სამთო ტექნიკოსი შ. გვენეტაძე უდგას სათავეში. მეექვსეუბნელები დროს უსწრებენ, თებერვლის ანგარიშში მუშაობენ. შახტის სოციალისტური შეჯიბრების ამ ლიდერმა უბანმა შარშანდელი წლიური გეგმის ზევით 11 ათას ტონაზე მეტი მადანი ამოიღო.

მოწინავეთა რიგებში არიან მეორე (უფროსი ი. დოლიძე) და მეშვიდე (უფროსი ა. ზოსიაშვილი) საექსპლოატაციო უბნებიც. ამ კოლექტივებმა ახალი წლის ანგარიშში უკვე ამოიღეს რამდენიმე ეშელონი ქვანახშირი.

რეკორდი ნორმა ხდება

ზუგდიდი. (საკ. კორ.). **ახალი წლის ამ პირველ დღეებში დამკვრელურად შრომობენ ენგურჰესის თაღოვანი კაშხალის მშენებლები.** ისინი ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ ნორმად აქციონ ერთ დღეში კაშხალის ტანში ბეტონის ჩასხმის რეკორდი, რასაც საახალწლო შეჯიბრების დღეებში მაიღწიეს და რაც 1.770 კუბურ მეტრს უდრის.

კვლავაც დამკვრელურად შრომობს რეკორდის ავტორთა კოლექტივი — უბანი, რომელსაც ა. კობახიძე ხელმძღვანელობს. მაღალი მაჩვენებლები აქვთ მშენებლებს ი. ვაკინსკის, ი. პოდელიაკს, გ. ეფრემოვს, გ. ნარმანიას და სხვ.

კაშხალის მშენებლების გადაწყვეტილებაა ივნვარი დამკვრელური შრომით აღნიშნონ.

გვეგვეთი აქტი

ახალციხე. (საკ. კორ.). **ახალი წლის ანგარიშში ძვირფასი პროდუქციის პირველი ტონები გამოუშვა აქატ-დიატომიტის მაღაროთა-სამმართველოს კოლექტივმა,** რომელმაც ვადამდე გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა.

კვარტალის დავალების ვადამდე შესრულებისათვის გამლილ შეჯიბრებაში წინ მიდიან შ. ლომმიძისა და ა. ხაჩატურიანის აქატის მომპოვებელთა ბრიგადები, რომლებიც დღიურ ნორმებს 120 პროცენტით ასრულებენ.

თბილისის ჟურნალისტთა მეხუთე საქალაქო კონფერენციის დელეგატებს საყურადღებოდ!

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ბიურო იუწყება, რომ დღეს 12 იანვარს, დღის 12 საათზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბში (ლენინის ქ. № 14, მე-5 სართული) მოწვეულია

თბილისის ჟურნალისტთა მეხუთე საქალაქო კონფერენცია

სოციალისტური შრომის ატმოსფეროში

11 იანვარს დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მოლაპარაკება ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ა. ფორლანისთან, რომელიც ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა მოსკოვში.

მოლაპარაკების დროს საფუძვლიანად განიხილეს სხვადასხვა დარგში საბჭოთა კავშირ-ინდოეთს ურთიერთობის საკითხები და მასი განვითარების პერსპექტივები. განიხილეს აგრეთვე ერთმანეთისათვის საინტერესო ფართო საერთაშორისო პრობლემები.

მოლაპარაკება კონსტრუქციულად, ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

(საკინფორმი).

ლენინის VIII ტომი

ერევანი. (საკინფორმი). გამომცემლობა „ჰაიასტანმა“ სომხურ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა 55-ტომიანი სრული კრებულის მეოცე ტომი. კრებულს სცემს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი — სომხეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი.



მეზღვნეზარე რევოლუციონერი-ლენინელი

ალექსანდრე (საშა) გრიგოლის-ძე წულუკიძის დაბადების 100 წლისთავის გამო

ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის, უშიშარი რევოლუციონერის, ლენინელი ბოლშევიკის, საქართველოსა და ამიერკავკასიის ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ერთ-ერთი შემქმნელის, თვალსაჩინო მარქსისტ-თეორეტიკოსისა და მოაზროვნის **ალექსანდრე (საშა) გრიგოლის-ძე წულუკიძის** დაბადების ასი წლისთავს მიეძღვნა საიუბილეო საღამო, რომელიც 10 იანვარს გაიმართა თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

თეატრის დიდ დარბაზში შეიკრებნენ საზოგადოებრიობის, ინტელიგენციის წარმომადგენლები, საწარმოთა მოწინავე ადამიანები.

სცენის სიღრმეში მოჩანს ა. გ. წულუკიძის პორტრეტი. პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **შ. დ. კიკნაძე, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. ჩხეიძე, ქ. ა. შარმანავა, ხ. ე. ხაბეიშვილი,** ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, ძველი ბოლშევიკები, შრომის გმირები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

საღამო გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **თ. ნ. მენთეშაშვილმა.** სიტყვა მოხსენებისათვის „ლენინური სკოლის გამოჩენილი რევოლუციონერი“ ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს **ვ. მ. სირაძეს.**

არის რაღაც სიმბოლური იმაში, — თქვა ამხ. ვ. მ. სირაძემ, — რომ ალექსანდრე გრიგოლის-ძე წულუკიძის დაბადების 100 წლისთავს, რომელიც შარშან შესრულდა, ალენიშნავთ ახალი 1977 წლის — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავის პირველ დღეებში.

„სამოცი წელი, — თქვა სკკპ XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ეს ნაკლებია ვადრე ადამიანის სიცოცხლის სწორეული ხანგრძლივობა. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ განვლო გზა, რომელიც საუკუნეებს უდრის“.

საბჭოთა სოციალისტ

მგზნებარე რევოლუციონერი-ლენინელი

ალექსანდრე წულუკიძე

(დასასრული)

1895 წელს საქართველოსა და ამერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის ვეტერანის, ვ. ი. ლენინის მოწაფისა და ახლო თანამებრძოლის მიხა ცხაკაიას გაგონილთ ა. გ. წულუკიძე შედის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაცია „მესამე დასში“ და მაშინვე უკავშირდება მის რევოლუციურ ფრთას, რომელიც პრინციპულ იდეურ ბრძოლას ეწოდა ორგანიზაციის ოპორტუნისტული უმრავლესობისა და მისი მეთაურის ნ. ჟორდანიას წინააღმდეგ.

ორი წლის განმავლობაში ა. გ. წულუკიძე ეწევა დაუცხრომელ პროპაგანდისტულ მუშაობას თბილისსა და ბაქოს სოციალ-დემოკრატიულ წრეებში, შემდეგ მარქსისტული მოძღვრების ღრმად დაუფლების მიზნით მიდის მოსკოვში, სადაც მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელი ხდება.

ამ დაბაბული სწავლისა და უძილო ღამეების წლებში ა. გ. წულუკიძე ეუფლება კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის ძირითად შრომებს, ეცნობა ვ. ი. ლენინის პირველ ნაწარმოებებს.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ა. გ. წულუკიძე მთლიანად რევოლუციურ საქმიანობაში ებმება: ხელმძღვანელობს თბილისის პროლეტარიატის პირველ ორგანიზებულ გაფიცვებს, მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციებს, მუშაობს არალეგალური ბოლშევიკური სტამბების მოწყობისათვის. უდიდესი ორგანიზატორული მუშაობის პარალელურად ა. გ. წულუკიძე გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დამლევიდან და კარგასიანი წლების დამდეგიდან აქტიურად გამოდის როგორც თვალსაჩინო პუბლიცისტი და თეორეტიკოს-მარქსისტი.

ღრმა, დასაბუთებული კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს ნ. ჟორდანიას მენშარკული ოპორტუნისტული დებულებებს. ასაბუთებდა რა მარქსისტულ-ლენინურ დებულებას პროგრესიულ საზოგადოების სახელმწიფო მანქანის მოსპობის საჭიროების შესახებ, ა. გ. წულუკიძე ამხილებდა „მესამედასელ“ ოპორტუნისტთა რეფორმისტულ ილუზიებს, ხაზს უსვამდა, რომ სოციალიზმი გაიმარჯვებდა მხოლოდ კაპიტალისტური წყობილების ძალადური დამხობისა და პროლეტარული დიქტატურის დამყარების შედეგად.

1901 წელს ლენინურ-ისკრული მმართველობის გაზეთ „ბრძოლაში“ გამოქვეყნდა ოცდახუთი წლის ა. გ. წულუკიძის შესანიშნავი ნაშრომი „ნაციონალიზმი და სოციალიზმი“. ეს იყო ამბენითად პირველი საპროგრამო პარტიული დოკუმენტი კავკასიაში. ამ ნაშრომში რევოლუციური მარქსიზმის პოზიციებიდან გაშენებული იყო იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში ეროვნული საკითხისადმი პარტიული მიდგომის არსი.

შემდეგ ა. გ. წულუკიძე ბ. გ. ცხაკაიასთან ერთად ხელმძღვანელობს რსდმპ თბილისის, ბაქოსა და ბათუმის კომიტეტების, აგრეთვე ქუთაისის, ჭიათურის, გორის, მიხაილოვოს (ხაშურის) ლენინურ-ისკრული მმართველობის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენციის მუშაობას, რომელიც 1903 წლის მარტში გაიმართა თბილისში და ისტორიაში შევიდა, როგორც კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველი ყრილობა.

ყრილობამ მიიღო ა. გ. წულუკიძის მიერ დაწერილი რეზოლუცია, რომელშიც მოიწონა რუსეთში ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის შექმნის ლენინური გეგმა და ცნო პარტიის ხელმძღვანელ ცენტრალურ ბეჭდვითს ორგანოდ გაზეთი „ისკრა“.

ა. გ. წულუკიძე აირჩიეს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის შემადგენლობაში, იყო გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ რედაქტორი, რომელიც რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე გამოდიოდა, რაც იმ დროისათვის თვალსაჩინო მოვლენა იყო არა მარტო რუსეთის, არამედ საერთაშორისო მოძრაობაშიც. მას შემდეგ სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე კი კავკასიელ ლენინელთა ამ ხელმძღვანელი ორგანოს მუდმივი და აღიარებული ლიდერი იყო.

ა. გ. წულუკიძის ისტორიული დამსახურება ის არის, რომ იგი ამერკავკასიელ რევოლუციონერთა შორის ერთ-ერთი პირველი უყოყმანოდ დადგა ლენინურ პოზიციებზე და დიდი იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა გასწია საქართველოსა და მთელ ამერკავკასიაში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ლენინურ-ისკრული მიმართულების გამარჯვებისთვის.

ნიშანდეგულია მისი, როგორც მთელი მსოფლიოს მუშათა ძმური სოლიდარობისა და უწინარეს ყოვლისა რუს ერთან და რუსეთის სხვა ხალხებთან ერთიანი ერის რევოლუციური ერთიანობის იდეის მეზზნებარე პროპაგანდისტის როლი, რადგან მას სწორედ ასეთი ერთიანობა მიაჩნდა მსოფლიოს ყველა ხალხის მომავალი სოციალდარობის განხორციელების რეალურ შესაძლებლობად.

ა. გ. წულუკიძეს არა მარტო მეზზნებარედ სწამდა დიადი ლოზუნგი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!“, არამედ მთელი თავისი ცხოვრებით ემსახურებოდა მას განხორციელებას.

რსდმპ ისტორიული მეორე ყრილობის შემდეგ ა. გ. წულუკიძე აკავშირებს ქართველ და ყველა ამერკავკასიელ ბოლშევიკს თვითმყოფობელობის, კაპიტალისტთა და მემამულეთა ძალაუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. მისი ხელმძღვანელობით იქმნება ქუთაისის, სოხუმის, სამტრედიის, ბათუმის, გორის, იმერეთ-სამეგრელოს ბოლშევიკური კომიტეტები.

ა. გ. წულუკიძე მეზზნებარედ და შთაგონებით განუმარტავს პარტიულ მასებს ბოლშევიკებისა და მენშევიკების ფუძანსზოვანთა არსს, დაუცხრომელ პროპაგანდას უწევს ლენინურ დებულებებს ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის, სოციალისტური რევოლუციის, პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, ყველა მწარომელის საბრძოლო ინტერნაციონალური სოლიდარობის საჭიროების შესახებ.

რუსეთის პირველი რევოლუციის დღეებში ა. გ. წულუკიძე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიუხედავად, კოლოსალურ მუშაობას ეწევა თვითმყოფობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად მასების შეკავშირებისათვის. მხურვალედ დაუჭირა რა მხარი ვ. ი. ლენინის ტაქტიკურ დებულებებს რევოლუციაში, მან ფართოდ გაშალა საქმიანობა საქართველოსა და ამერკავკასიაში რსდმპ მესამე ყრილობის მოსაწვევად. მომქანცველი დისკუსიები მენშევიკებთან, რომლებმაც აშკარად უღალატეს პროლეტარიატის ინტერესებს, მრავალი გამოსვლა მიტინგებზე თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ჭიათურაში, ზუგდიდში გორისა და სამეგრელოს რევოლუციურ-გლეხთასთან — აი ა. გ. წულუკიძის ხანმოკლე, მაგრამ სახელოვანი გზის ეტაპები ოქტომბრისწინა ეპოქის პირველი საგანგებო რევოლუციის დღეებსა და თვეებში.

დაუცხრომელ რევოლუციურ მოღვაწეობასთან ერთად მთელი ამ წლების განმავლობაში ა. გ. წულუკიძე განაგრძობს მარქსისტულ-ლენინური თეორიის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი პრობლემების მეცნიერულ დამუშავებას.

1904 წელს გამოდის მისი ფუნდამენტური ნაშრომი „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“, რომელიც საქართველოში კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს შექმნის პირველი ცდაა. ამ ნაშრომმა, რომელშიც ზუსტად და უაღრესად ნატოვნად არის ჩამოყალიბებული მარქსის „კაპიტალის“ ძირითადი დებულებები, უთვალსაჩინოესი როლი შეასრულა საქართველოში რევოლუციური მარქსიზმის გავრცელებაში.

ა. გ. წულუკიძე მთელ რიგ თავის ნაშრომებში ლენინურად სახავს და წყვეტს წარსულის სულერი მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების საკითხებს და, კერძოდ, რის რევოლუციონერ დემოკრატთა ქართველ მოწაფეთა და თანამებრძოლთა საქმიანობის შეფასების საკითხებს. მან პრინციპულად გააკრიტიკა ეკონომანია და მისი დამქაშები, რომლებმაც არსებითად გააჩაღეს ქართველ სამოციანელთა მეთაურის დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის ილია პავლავაძის დევნა. ა. გ. წულუკიძემ დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ რევოლუციური დემოკრატია პროლეტარული ეტაპის წინამორბედია ჯანმათავისუფლებელ მოძრაობაში, თავის ნაშრომებში მან ამხილა საქართველოს ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების ლიდერთა ნაციონალიზმი, მეზზნებარე პროპაგანდას უწევდა ლენინურ იდეებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის შესახებ. ა. გ. წულუკიძის სახელთან დაკავშირებულია ქართული მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურული კრიტიკისა და ესთეტიკის შექმნა.

დაძაბულმა რევოლუციურმა მოღვაწეობამ, მეფის მთავრობის სასტიკმა რეპრესიებმა ბოლოს-დაბოლოს შეურყიეს. ბა ისედაც სუსტი ჯანმრთელობა, განსაკუთრებით მძიმე დაღი დასვა მის ჯანმრთელობას მეტეხის ციხეში ერთი თვის პატიმრობამ 1905 წლის იანვარ-თებერვალში.

და ის იყო, ფართოდ გაჩაღდა რუსეთის პირველი რევოლუცია, რომ საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ მძიმე დანაკლისი განიცადა, — 1905 წლის 21 ივნისს გარდაიცვალა ალექსანდრე გრიგოლის-ძე წულუკიძე...

ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილი მოღვაწის დაკრძალვა საქართველოს მშრომელთა ჯანდაფიზულ მრავალათასიან დემონსტრაციად იქცა. 10 ათასზე მეტი მუშა და ჯვარი ფეხით მიაცილებდა საყვარელ საშას კუბის ქუთაისიდან ხობამდე, ოკაცსპირული წვიმის მიუხედავად, პროცესია თითქმის 25 კილომეტრზე გაგაგრძელა. დაკრძალვაზე ჩამოვიდნენ ამერკავკასიის სხვადასხვა კუთხის მშრომელთა დელეგაციები. მთელ გზაზე იმართებოდა მიტინგები, რომლებზეც მეზზნებარე სიტყვებს წარმოთქვამდნენ ა. გ. წულუკიძის მეგობრები, ამერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელები, დიდი ლენინის სახელოვანი მოწაფეები. ამ უჩვეულო დემონსტრაციის ამბავი მისა ცხაკაიამ დაწვრილებით შეატყობინა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს პირადი წერილით.

ალექსანდრე გრიგოლის-ძე წულუკიძის გარდაცვალების შემდეგ ფილიპე მახარაძე წერდა:

„...მოვა დრო, და იგი, ვფიქრობ, არც ისე შორს არის, როცა ალექსანდრე წულუკიძის საქმიანობა ყველასათვის ნათელი გახდება, და საზოგადოება თვალნათლივ დაინახავს, თუ რა შესანიშნავი მოღვაწე, რა ძლიერი, უდრეკი ადამიანი დაკარგა მისი სახით“.

ლენინური სკოლის გამოჩენილმა პროფესიონალმა რევოლუციონერმა, მარქსიზმის შესანიშნავმა თეორეტიკოსმა და პოპულარიზატორმა ალექსანდრე წულუკიძემ დაგვიტოვა ფასდაუდებელი თეორიული მემკვიდრეობა. მის მიერ დაწერილ სტატიებსა და წერილებს, ბროშურებსა და ფუნდამენტურ სამეცნიერო შრომებს სრულიადაც არ დაუკარგავთ თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჯანდელი წლების მანძილზე.

სამა წულუკიძემ ღრმა, წარუშლელი კვალი დატოვა კავკასიის მუშათა მთელ რევოლუციურ მოძრაობაში.

მისი შესანიშნავი ცხოვრება და რევოლუციური ბრძოლა მარად ცოცხლობს და კვლავაც იცოცხლებს შთამომავალთა მადლიერ ხსოვნაში, როგორც პროლეტარიატის, მთელი პროგრესული კაცობრიობის ინტერესებისადმი უანგარო სამსახურის შთამაგონებელი მაგალითი.

იდეები, რომლებისთვისაც იბრძოდნენ და თავს სწირავდნენ ლენინური გვარდიის რევოლუციონერები, ცოცხლობენ და იმარჯვებენ მილიონთა გონებასა და გულში. მათი მაგალითით სწავლობს ახალგაზრდობა, სწავლობენ თაობები, რომ იყვნენ პარტიის, მუშათა კლასის მშრომელი ხალხის ერთგულნი, სწავლობენ პატიოსნებას, გამბედაობას, მამაცობას, შემართებას, მზადყოფნას, რომ მთელი ცხოვრება მოანმირონ კაცობრიობის მომავლის ნათელ საქმეს.

„საბჭოთა ხალხის დღეენდელი მიღწევები, — თქვა ლენინდ ილიას-ძე ბრეჟნევმა სკკპ XXV ყრილობაზე, — ოქტომბრის საქმის უშუალო გაგრძელებაა. ეს არის დიდი ლენინის იდეებს პრაქტიკული ხორცშესხმა. ამ საქმის, ამ იდეების ერთგული იყო და იქნება მარად ჩვენი პარტია“.

ილიჩის იდეებისადმი პარტიის ეს ერთგულება კონკრეტულად ისახება საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისათვის სამსახურით, რომლის შესანიშნავი გამოხატულებაა ჩვენი პარტიის XXV ყრილობაც.

საბჭოთა ხალხმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უმაგალითო ენთუზიაზმით მოჰკიდა ხელი პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებას. გასული წელი — მეათე ხუთწლედის პირველი წელი იყო სოციალისტური ეკონომიკური გარდაქმნების სწრაფი ტემპის წელი, ეკონომიკურად გაძლიერებული სამეურნეო მშენებლობის, ალმშენებლობითი შრომის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ეფექტიანობის ამაღლების წელი — ხარისხობრივი ზრდისა და მშრომელთა მჩქეფარე აქტივობისა და შემოქმედებითი ინიციატივის წელი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის წერილში საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელისადმი მაღალი შეფასება მისცა 1976 წელს, როგორც საბჭოთა ადამიანების თავდადებული მეათეგზეული შრომის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის მათი მტკიცე ბრძოლის წელს, ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და აყვავების წელს.

ლენინის საქმე, ლენინის იდეები, რომლებისთვისაც იბრძოდნენ წულუკიძე და მისი თანამოსაგრენი, რეალურად განხორციელდა ჩვენს რესპუბლიკაშიც. ეს უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია კომუნისტური პარტიის უძლეველი ლენინური დროშით, საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში საქართველოს მშრომელებმა, მოაზდინეს რა ისტორიული გმირობა, ოდესღაც ჩამორჩენილი ზნარე მაღალგანვითარებული ინდუსტრიის, მოწინავე კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის, მრავალდარგოვანი სოციალისტური სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად აქციეს.

ჩვენმა მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ, სახალხო ინტელიგენციამ ნამდვილი შრომითი გმირობა ჩაიდინეს მეცხრე ხუთწლედის ფრონტებზე პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილების შესასრულებლად.

გასულ ხუთწლეულში რესპუბლიკის ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 32 პროცენტით, სამრეწველო წარმოების მოცულობა — 40,1 პროცენტით, გაუმჯობესდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. მუშათა და მოსამსახურეთა სამუშაო თვიური ხელფასი ამ წლების მანძილზე გადიდდა 11,7 პროცენტით, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება — 24 პროცენტით.

ხუთი წლის მანძილზე ნახევარ მილიონზე მეტმა კაცმა ახალმოსახლეობა იზეიმა ახალ კეთილმოწყობილ ბინებში.

ამაღლდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა და ხარისხი, გაფართოებით შესრულდა ყველა ძირითადი სოფლის მეურნეობის პროდუქტის დამზადების გეგმები. შრომის ნაყოფიერება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში 26 პროცენტით გაიზარდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა ადამიანების ეროვნული ეკონომიკა. ეს ნიშნავს, ადამიანებმა ბევრ ფულს ანაზოგავენ, ბევრ ნივთს ყიდულობენ, ბევრ ფულს ხარჯავენ. ეს ნიშნავს, ადამიანებს ბევრ ფულ-ნივთ-ფულ-ნივთ-ფულ-ნივთ-

სხვადასხვა ფორმა, ერთი მიზანი

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲐ ᲣᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲠᲓᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

— თუ ეს მოთხრობა არ წაგიკითხავთ, წაიკითხეთ, — თქვა ხანში შესულმა ქალმა და კუპეში თავის მეზობელს გადაშლილი წიგნი გადასცა. — რომ წავიკითხეთ, ცრემლი ვერ შეიკავებ.

ეს ასე, სრულიად შემთხვევით ერთ-ერთი ჩვენგანი ამის მოწმე გახდა, თუ რა უშუალოდ აღიქვამ მკითხველმა თენგიზ ჩალაურის ნოველა „ორმოცდასამი და შვიდი ბეღურა“, სანამ მის ავტორს პირადად შეეხვედებოდით. აღმანახ „როდინკის“ (გამომცემლობა „მოლოდინი“ 1976 წ.) მეოთხე გვერდზე ეშმაკებში მას სულ ორი გვერდი უმერავს, მაგრამ შინაარსით და ემოციური ტევადობით სხვა დიდ მოთხრობას სჯობნის.

თენგიზ ჩალაური ერთ-ერთი ამოვანია, ვისაც ახალგაზრდა ლიტერატურულ ცხოვრებას უწოდებენ. ხელოვნებაში იგი გამოუცდელი ყმაწვილი არ მოსულა — ნამუშევარი, ქარხანაში და მშენებლობაზე, სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის საღამოს განყოფილებაზე.

— ეს ახალგაზრდა ახალგაზრდა ლიტერატორების დამახასიათებელი თვისებაა, — თქვა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გრიგოლ აბაშიძემ. — ახლა აქ სჭარბობენ ადამიანები, რომლებიც მუშის პროფესიებს იცნობენ. და მით უფრო პასუხსაგებია ჩვენი ამოცანა — „შემოქმედად ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას რომ ვასრულებთ, ყველაფერი ვიღონოთ, რათა ხელოვნებაში განუწყვეტელი მოდინდინენ ნიჭიერი ქალაშვილები და ბაბუკები, ჩაეუნერგოთ მათ მტკიცე ინტერნაციონალისტი მებრძოლების თვისებები.

ნორჩი ლიტერატორის საუკეთესო სკოლა ხალხის ცხოვრებაა. ეს ძველი და მარად ახალი ჭეშმარიტება საფუძვლად უდევს შემოქმედებითი შეესების აღზრდისათვის მუშაობას, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური ხელმძღვანელობით მწერალთა კავშირი და რესპუბლიკის აკკკ ცენტრალური კომიტეტი ეწევიან. ამიტომ შემთხვეევითი არ არის, რომ ახალგაზრდა ქართველ პოეტებს, პროზაიკოსებს, დრამატურგებს ზნირად შეხვედებით ქვეყნის სხვადასხვა ახალშენებლობაზე.

მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინათ ბაიკალ-ამურის магистралის მშენებლობაზე იყვნენ ვანო ჩხეიძე და დილარ იკარდავა, ბამელთა შორის გატარებულმა რამდენმე კვირამ დაუეწყარი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდებზე. „ვეცნობოდი ბიჭებს, — გვიამბობს ჩხეიძე, — და ეფიქრობდი, რა მართებულად არის განსაზღვრული: ახალგაზრდობა მომავლის მშენებელიაო. გაბედული, ფრთაშესხმული მეოცნებენი, თავიანთი საქმის მოტრფიალენი, ენერგიულნი — ასეთნი არიან ჩვენი თანამედროვენი, შრომით რომ გვიახლოებენ ხვალინდელ დღეს“. ამ ადამიანებზე — თავიანთ ტოლებზე ორივე ლიტერატორმა დაწერა ლექსების შინაარსიანი ციკლები, ივარდავამ კი — ნარკვევების წიგნიც „მზე აქ სხვანაირია“ (გამოცემული 1976 წელს, მკითხველებმა და კრიტიკოსებმა კარგად შეაფასეს).

შრომელი ადამიანების ცხოვრების, მათი შინაგანი სამყაროს, ხასიათების უფრო ღრმად შეცნობის მისწრაფებას ახალგაზრდა ლიტერატორები რესპუბლიკის მეტალურგიულ და მანქანათმშენებელ ქარხნებში, ჩაის პლანტაციებში, მეცხოველეობის ფერმებში ეძიებენ.

... მწყემსები ყიზლარის საძოვრებზე ფარების ძნელი გადარეკვისათვის ემზადებოდნენ, როცა მათთან უცნობი ახალგაზრდები მივიდნენ. ყოველ მათგანს ჯიბეში საქართველოს აკკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის სამივლინებო მოწმობა ედო, ესენი იყვნენ დამწყები ლიტერატორები, რომლებმაც გადაწყვიტეს უფრო ახლოს გასცნობოდნენ მეცხოველეთა შრომასა და ყოფა-ცხოვრებას. უნდობლად მოეკიდნენ მათ მწყემსები: ქალაქელები, აზიზ-მაზიზები იქნებიანო...

გავიდა დრო, და სტუმარ-მასპინძელთა გამოთხოვება ამაღელვებელი და ოდნავ სევდიანიც კი იყო, და მართლაც, სტუმრები მართო საიმედო ამხანაგები როდი გამოდგნენ. მათ სწრაფად აითვისეს მწყემსური საქმე, გერგილიანად, თავდადებულად მუშაობდნენ. დასვენების დროს კი სოფლებში ადგილობრივ მცხოვრებლებს ესაუბრებოდნენ, ლექსებს, მოთხრობებს უკითხავდნენ, ახალ სიმღერებს მღეროდნენ.

ამ ბოლო დროს ყიზლარის საძოვრებზე, კოლხეთის დაბლობის ყანებსა და პლანტაციებში, წითელწყაროს, საჩხერისა და სხვა ადგილებში ნახავდით, — და ეფიქრობდი, რა მართებულად არის განსაზღვრული: ახალგაზრდობა მომავლის მშენებელიაო. გაბედული, ფრთაშესხმული მეოცნებენი, თავიანთი საქმის მოტრფიალენი, ენერგიულნი — ასეთნი არიან ჩვენი თანამედროვენი, შრომით რომ გვიახლოებენ ხვალინდელ დღეს“. ამ ადამიანებზე — თავიანთ ტოლებზე ორივე ლიტერატორმა დაწერა ლექსების შინაარსიანი ციკლები, ივარდავამ კი — ნარკვევების წიგნიც „მზე აქ სხვანაირია“ (გამოცემული 1976 წელს, მკითხველებმა და კრიტიკოსებმა კარგად შეაფასეს).

შრომელი ადამიანების ცხოვრების, მათი შინაგანი სამყაროს, ხასიათების უფრო ღრმად შეცნობის მისწრაფებას ახალგაზრდა ლიტერატორები რესპუბლიკის მეტალურგიულ და მანქანათმშენებელ ქარხნებში, ჩაის პლანტაციებში, მეცხოველეობის ფერმებში ეძიებენ.

კომკავშირის, მწერალთა კავშირის მთავარი საზრუნავია შემოქმედებითი ახალგაზრდობის იდეური და პროფესიული აღზრდა. ამ ბოლო დროს ლიტერატურული გაერთიანებების მეცადინეობებზე, სემინარებზე, დამწყები მწერლების თათბირებზე სავალდებულო გახდა გასაუბრება ან ლექციები თემებზე: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სამინაო და საგარეო პოლიტიკა, მხატვრული კულტურის განვითარების პრობლემები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, საბჭოთა ხელოვნების პარტიულობა და ხალხურობა. იმართება შეხვედრები ქალაქისა და სოფლის მშრომელებთან. ახლა ხშირად ეწყობა ინდივიდუალური საუბრები ახალგაზრდა ავტორებთან კომკავშირის კომიტეტებში, მათი შემოქმედებითი ანგარიშების განხილვა კომკავშირულ კრებებზე...

— მწერალთა კავშირთან ერთად, — თქვა საქართველოს აკკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჟ. შარტავამ, — ჩვენ ვცდილობთ ერთმანეთს შეეუხამოთ ახალგაზრდა ლიტერატორთა იდეურ-პროფესიული აღზრდის სხვადასხვა ფორმა. ჩვენი აზრით, ამ მიმართულებით სასარგებლო მუშაობას ეწევა კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილი შემოქმედი ახალგაზრდობის რესპუბლიკური ცენტრი.

რას წარმოადგენს ეს ცენტრი? შეიძლებოდა მოქმედებს სახეითი ხელოვნების, მუსიკალური, ლიტერატურული სექციები, მათი მეცადინეობები ეწყობა ძველ მეტეხში, აქვე თავიანთ სპექტაკლებს უჩვენებს ახალგაზრდული თეატრი-სტუდია. ცენტრს მჭიდრო კონტაქტები აქვს შემოქმედებითს კავშირებთან, ათანხმებს კავშირურთიერთობას ხელოვნების სხვადასხვა დარგის ახალგაზრდა მუშაკთა შორის, და რაც მთავარია, ახალ ტალანტებს აკვლევს და მათს იდეურ-პროფესიულ ზრდას უწყობს ხელს. ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა შემოქმედებითი სემინარები. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ბაკურიანის მაღალმთიან ახალგაზრდულ ბანაკში ეწყობა, ტრადიციული გახდა. კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეთა ხელმძღვანელობით დაწვრილებით მსჯელობენ ლიტერატორთა, მხატვართა, კომპოზიტორთა ახალ ნაწარმოებებზე, რეჟისორთა, მსახიობთა ნამუშევრებზე, ავრეთვე იმართება „მრგვალი მაგიდა“ თეორიულ პრობლემებზე: „სოციალისტური რეალიზმის საკითხები“, „თანამედროვეობა ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში“ და „გული“...

მეტეხში, თეატრ-სტუდიის სცენის მახლობლად მოკალთებულნი, ვესაუბრებოდით ახალგაზრდებს— პროზაიკოსებს ავთანდილ ჩხეიძეს, თენგიზ ჩალაურს, პოეტებს ენვერ ნიკარაძეს, დალილა ბედიანიძეს, კრიტიკოსს სოსო სიგუას, რეჟისორს სანდრო მრევლიშვილს, სხვა სექციების მონაწილეებს. საერთო აზრი ის იყო, რომ, თუმცა ნაკლოვანებები, ხარვეზები აქვს, მაგრამ შემოქმედებითი ცენტრის მუშაობა კეთილი სიტყვის ღირსია. მანანა ჩიტიშვილის, თემურ აბულაშვილის, თედო ბეკნიშვილისა და ბევრი სხვა ავტორის დღევანდელობის ამსახველი ნაწარმოებების პრესაში დაბეჭდვა ამ ცენტრის საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

ახალგაზრდა მწერალი — გაზეთი, ჟურნალი, გამომცემლობა. მათი ურთიერთობის ხასიათზე ბევრად არის დამოკიდებული დებიუტანტის შემდგომი ბედი. „ახალგაზრდა კომუნისტის“, „მოლოდინ გრუზიის“, „ნორჩი ლენინელის“ კომპლექტებს რომ ფურცლავ, ხედავ, რომ მათს ფურცლებზე ხშირად ქვეყნდება ახალი ავტორების ნაწარმოებები.

გაზეთების გარდა, ახალგაზრდების ნაწარმოებებს ბეჭდავენ ჟურნალები, მათ შორის ახალგაზრდული „ცისკარი“ და მისი სპეციალური დამატება, გამომცემლობები „ნაკადული“ და „მერანი“, მაგალითად, ყოველწლიურად პოეტებისა და პროზაიკოსების რამდენიმე პირველ წიგნს ბეჭდავენ. კარგი იქნებოდა, გაზეთების, ჟურნალების, გამომცემლობების რედაქციები პრესისათვის ნაწარმოებების შერჩევის მეტი სიმკაცრით რომ ფუდგებოდნენ. გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა შორის ხომ ხშირად ვხვდებით სუსტ, უსახო, რესპუბლიკის, ქვეყნის ცხოვრებისაგან შორეულ თემებზე დაწერილ ნაწარმოებებს, რომლებიც არც გონებას, არც გულს არაფერს აძლევს.

სამწუხაროდ, მომთხოვნელობაზე უფრო შემწყნარებლობას იჩენენ კრიტიკოსებიც, რომლებიც ახალგაზრდა მწერლის ნაწარმოებებს აშკარად დაკნინებული კრიტიკულობის პოზიციებიდან აფასებენ.

დამწყებთა ჩამოყალიბებაში, დასაბეჭდავად მათი პირველი და მომდევნო ნაწარმოებების მომზადებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს გამოცდილი, ავტორიტეტიანი სიტყვის ოსტატების დამრიგებლობა. ბევრ მათგანს ჰყავს თავისი აღზრდილები, შეძლებისდაგვარად ცდილობს დაეხმაროს ახალგაზრდა ნიჭიერ მწერლებს თპოეონ საკუთარი ფერმა, საკუთარი სტილი, ფერთა შეესხან.

რა თქმა უნდა, პრესისათვის ნაწარმოებების შერჩევაც, მათი რეცენზირებაც, ოსტატთა დამრიგებლობაც უნდა უმჯობესდებოდეს, სულ უფრო და უფრო ეფექტიანი ხდებოდეს. ეს ცხოვრების მოთხოვნაა, ეს ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში. კანონზომიერია პროცესის მეორე მხარეც — ესეც აღნიშნულია დადგენილებაში: თავისი მუშაობისათვის ახალგაზრდა მწერლის პასუხისმგებლობის შეგნება, მისი მისწრაფება ჩასწვდეს თანამედროვეობის პრობლემებს, გადაწყვიტოს რთული მხატვრული ამოცანები, განუხრელად იაროს წინ.

— ჩვენ გვაკავს ავტორები, რომლებიც პირველი პატარა წიგნის თუ ჟურნალში გამოქვეყნებული ორიოდე პუბლიკაციის შემდეგ განცხრომას ეძლევიან — თქვა საქართველოს მწერალთა კავშირის მიმღები კომისიის თავმჯდომარემ ნოდარ დუმბაძემ, — აი რატომ არის, რომ იძულებული ვართ ბევრს ყარი ვუთხრათ კავშირში მიღებაზე. ჩვენ კვლავაც რაც შეიძლება გულისხმიერად მოვეკიდებით მწერალთა კავშირის წევრობის ყოველ შესაძლო კანდიდატს, მაგრამ მთავარი გადამწყვეტი სტადია მას, ესე იგი მის ნაწარმოებებს ეკუთვნის.

უნდა ითქვას, რომ იმათ უმრავლესობას, ვისაც შეეხვედით, მკაფიოდ ესმის: ხელოვანის შემოქმედებითი მომავალი უწინარეს ყოვლისა თავად მისზეა დამოკიდებული.

ქართველ მწერლებს — გამოცდილებასაც, მრავალი წიგნის ავტორებსაც, და ახალგაზრდებსაც, რომლებიც ეს- ეს არის კეთილშობილურ და ძნელ გზას დაადგნენ, — კარგად ესმით, რომ ბევრი რამ უნდა გააკეთონ. სასიხარულოა, რომ მათი გეგმები, ჩანაფიქრები მასშტაბურია, ფორმტაცია, თანამედროვეობის მოვლენებთან, შრომის გმირებთან, ადამიანის მაღალი მორალური თვისებების დამკვიდრებასთან არის დაკავშირებული, და დაე უფრო ხშირად იბეჭდებოდეს ნაწარმოებები, რომლებზეც იტყოდნენ: „თუ ეს წიგნი არ წაგიკითხავთ, ეუცილებლად წაიკითხეთ. ავტორი ახალგაზრდაა, მაგრამ რა კარგად წერს, როგორ გაღელვებს მისი სიტყვა!“..

ს. კოშეჩკინი,
გ. ლებანიძე,
(„პრავდის“ სპეც. კორ.).
ჟ. თბილისი.

„პრავდა“, 11 /I 77.

გიორგი გიორგის-ძე გელაშვილი

მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დირექტორი, ჟურნალისტი და მწერალი, სკკპ წევრი გიორგი გიორგის-ძე გელაშვილი. წავიდა ჩვენგან თავმდაბალი, მშრომელი ადამიანი, შემოქმედი, რომლის გული სამშობლოს მგზნებარე სიყვარულით ძგერდა.

გიორგი გიორგის-ძე გელაშვილი დაიბადა 1921 წელს სოფელ საგარეჯოში.

მან თბილისის რკინიგზის მე-4 სკოლის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ი. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში ხის მოდელების დამამზადებლად, ორი წლის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, ამასთან „კომუნისტის“ სტამბაში დამხმარე მუშად მუშაობდა.

1943 წლიდან კომკავშირულ საქმიანობაზე იყო. მუშაობდა კომკავშირის თბილისის ოქტომბრის რაიონის ინსტრუქტორად, შემდეგ ამავე რაიონის მეორე და ქალუბნის რაიონის პირველ მდივნად.

1946 წლიდან გ. გ. გელაშვილმა აქტიური ჟურნალისტური მოღვაწეობა დაიწყო. მუშაობდა გაზეთ „მოლოდინ სტალინეცის“ კომკავშირული ცხოვრების განყოფილების გამგედ. ერთი წლის შემდეგ იგი კომკავშირის თბილისის 26 კომისრის რაიონის პირველ მდივნად აირჩიეს. 1947-1949 წლებში კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი იყო, შემდეგ კი პარტიულ სამუშაოზე გადაიყვანეს. სხვადასხვა დროს იყო პარტიის ლენინის რაიონის განყოფილების გამგე, თბილისის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორი და სექტორის გამგე, კალინინის რაიონის მეორე მდივანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების განყოფილების პასუხისმგებელი ორგანიზატორი. მთელი ამ ხნის მანძილზე კავშირი არ გაუწყვეტია პრესასთან: აქვეყნებდა მოთხრობებს, ნარკვევებს, სტატიებს პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ცხოვრებაზე. 1955 წლიდან კი კვლავ გაზეთს დაუბრუნდა — 1971 წლამდე „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორობდა. ხანგრძლივი წლების მანძილზე გ. გელაშვილი იყო საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი.

პრესაში ნაყოფიერი მუშაობის პარალელურად გ. გელაშვილმა მოთხრობების რამდენიმე წიგნი გამოსცა, რითაც ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო.

1971 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დირექტორი იყო, სადაც ორგანიზატორული მუშაობის კარგი უნარი გამოავლინა. მას იცნობდნენ, როგორც მომთხოვნ, მაგრამ ამასთან გულისხმიერ ხელმძღვანელს, რამაც ხელი შეუწყო გამომცემლობის კოლექტივის მიერ ბევრი ნასახელო საქმის განხორციელებას.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს გ. გელაშვილის მოღვაწეობა. მას მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტის წოდება, დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლებითა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

უდროოდ წავიდა ჩვენგან შრომისმოყვარე, უაღრესად განათლებული, ალალმართალი კაცი, რომელმაც სპეტაკი კომუნისტისა და ნიჭიერი შემოქმედის დაუვიწყარი სახელი დატოვა.

ე. ა. შევაშიძე, გ. ვ. კოლბინი, ჯ. ი. პატარაშვილი, ვ. მ. სირაძე, ზ. ა. ჩხეიძე, ძ. ა. შარტავა, ს. ე. ხაბეიშვილი, გ. ვ. ბედიანიშვილი, გ. გ. აბაშიძე, ი. ო. ანდრიაძე, ვ. გ. ბაქრაძე, ზ. შ. ლომიძე, დ. ვ. მამედლიშვილი, ნ. ა. ძვანია, ნ. გ. ჩერქეზიშვილი, თ. ი. ხელაშვილი, გ. გ. ფოკრხიძე, ვ. გ. შელიავა.

გ. გ. გელაშვილის დამკრძალავი კომისიისაგან

გ. გ. გელაშვილის გამოსვენება მოხდება 13 იანვარს 16 საათზე განსვენებულის ბინიდან (ბარნოგის ქუჩა, 122), დაკრძალვა — საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაცვალა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დირექტორი
გიორგი გიორგის-ძე გელაშვილი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო იუწყება, რომ გარდაცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დირექტორი
გიორგი გიორგის-ძე გელაშვილი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

14 იანვარი

ფაქტები, პროგლემები **ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲘ**

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ

გენერლები განგაშს ტეხენ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, (საკლესი). ამერიკის შეერთებული შტატები ყოველწლიურად ზრდის თავის სამხედრო ბიუჯეტს და აჩქარებს ახალ სისტემათა და სახეობათა იარაღის შექმნას. მომდინარე საფინანსო წელს პენტაგონისადმი ასიგნებამ მიაღწია ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში ყველაზე მაღალ დონეს — 113 მილიარდ დოლარს. ეს 10 მილიარდით მეტია გასულ წელთან შედარებით. გენერლები და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი ყოველნაირად ცდილობენ, რომ ახალ საფინანსო წელს სამხედრო ბიუჯეტი 125-130 მილიარდ დოლარამდე გაიზარდოს.

ამ ხარჯების მეტი ნაწილი ახალ სახეობათა იარაღს ხმარდება. პენტაგონს დაეგეგმილი აქვს შექმნას „ბ-1“ ტიპის ახალი სტრატეგიული ბომბდამშენების ავიაფლოტი, რაც 23 მილიარდი დოლარი დაჯდება. ამერიკის შეერთებული შტატები ეწევა აგრეთვე „ტრაიდენტის“ ტიპის წყალქვეშა ნავების მშენებლობას. ამ ტიპის პირველი ათი ნავის ღირებულება 21,5 მილიარდ დოლარს შეადგენს. ამერიკის მხედრიონი და სამხედრო მონოპოლიები იღწვიან „ფრთოსანი რაკეტების“ ახალი სისტემის შესაქმნელად. თვითეული მათგანი დაახლოებით 500 ათასი დოლარი ღირს.

და ყოველივე ამის ფონზე მართლაც რომ ფარისევლურად გამოიყურება ამერიკის შეერთებულ შტატებში აღებული ხმაურიანი კამპანია საბჭოთა კავშირის მხრივ მითიური „სამხედრო საფრთხის“ გამო.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველ კისმარე დღის გაისმის მოწოდებანი სამხედრო ძლიერების შემდგომი ზრდისათვის. პენტაგონი „ჯიქურ უტევს“ არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და კონგრესს, არამედ ამერიკის ნატოელ მოკავშირეებსაც. ამ მხრივ საგულისხმოა ევროპაში განლაგებული ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ამერიკელი გენერლის ა. ჰეიგის განცხადება. „ეურნალ „ი. ს. ნიუს ენდ ორორლ რიპორტისა“ და ფრანს პრესის საგენტისათვის მიცემულ ინტერვიუში მან უნიადაგოდ დაბარალი ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ქვეყნებს, თითქოს ზრდიდნენ სამხედრო პოტენციალს, და თქვა, რომ „ეს მათ შესაძლებლობას მისცემს მოკლე ვადაში შეტევითს ოპერაციებზე გადმოვიდნენო“. ნატო დაიშლება, აშინებს იგი ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ადმინისტრაციას, და მის მოკავშირეებს ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში, „თუ ჩვენ პასუხი არ გავეცით დასავლეთ ევროპაში სსრ კავშირის სამხედრო ძლიერების ზრდას“.

ის, რომ გენერალი ჰეიგი ცდილობს დააშინოს ნატოს ქვეყნები და „საბჭოთა მუქარით“ აფრთხობს, სულაც არ არის გასაკვირი. რა ქნას, ნატოელი გენერალია. გასაკვირი და გასაოცარი ის არის, რომ ჰეიგის გამონათქვამების პოპულარიზატორის როლში საფრანგეთის ფრანს პრესის საგენტო მოგვევლინა. მან არა მარტო ჩამოართვა ჰეიგს ინტერვიუ პენტაგონისათვის ამ საყვარელ თემაზე, არამედ დაურიგა კიდეც იგი თავის ხელმძღვრთ გრიფით „მასალა ჩვენს რუბრიკაში დასავლეთ ევროპასა და შეერთებულ შტატებში ანტიიაპონური განწყობილების ნეიტრალიზაციისათვის.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲐ ᲣᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲠᲓᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

თათბირი ტოკიოში

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲔᲜ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ

ᲢᲝᲙᲘᲝ, (საკლესი). აქ მიმდინარეობს „ჩრდილოეთ ამერიკის, დასავლეთ ევროპასა და იაპონიის სამხრივი კომისიის“ მორიგი სესია.

ახლანდელი სესიის მუშაობაში მონაწილეობს დაახლოებით 60 თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე, მეცნიერი და ბიზნესმენი.

სესიის მონაწილენი განიხილავენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იტალიასა და იაპონიაში ამ ქვეყნების ამასწინანდელ არჩევნებთან დაკავშირებით პოლიტიკური ვითარების ცვლილებების, სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის, ინფლაციისა და დაქვეითების დაძლევის მიზნით დასავლეთის ქვეყნების ეკონომიური პოლიტიკის კოორდინაციის საკითხებს.

იაპონიის მხარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს „სამმხრივი კომისიის“ ახლანდელ სესიას. გასულმა წელმა მკვეთრად გამწვავა „საერთო ბაზრის“ ქვეყნებთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან იაპონიის წინააღმდეგობანი. სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობაში ეს ქვეყნები დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ მათმა დეფიციტმა იაპონიასთან ვაჭრობაში 1976 წელს 9 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ითვალისწინებს რა ამ გარემოებას, იაპონია ცდილობს სესია გამოიყენოს დასავლეთ ევროპასა და შეერთებულ შტატებში ანტიიაპონური განწყობილების ნეიტრალიზაციისათვის.

ᲞᲠᲔᲡᲐ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ

სხვებს აბრალებენ

ᲞᲐᲠᲐᲚᲐ, (საკლესი). გაზეთმა „რუდე პრავომ“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ამხილებს ბურჟუაზიული პროპაგანდის გამოხდომებს სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში „ადამიანის უფლებათა დარღვევის“ შესახებ თავიანთი ცილისმწამებლური მონაჭორების დასადასტურებლად, ნათქვამია სტატიაში, იყენებენ ცალკეულ პირებს ან ადამიანთა ჯგუფებს, რომლებიც ანტიპარტიულ პოზიციებზე დარჩნენ და ვერ შერიგებიან სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის წარმატებებს.

„რუდე პრავო“ წერს, რომ ცალკეული გარეწრები ანტიგერმანულტური ცენტრების შეკვეთით აკოწყნებენ ნაირ-ნაირ პროვოკაციულ წერილებს, რათა დასავლეთის პრესაგანდას საბაბი მისცენ ატეხონ ხმაური „ადამიანის უფლებათა დარღვევის“ შესახებ. „ამ ადამიანის უფლებათა თვითმარქვია დამცველნაო“ ნამდვილ სახეს მჭვარმეტყველურად მოწმობს თვით ფაქტი, რომ რეკლამას მათ მასობრივი ინფორმაციის ისეთი ორგანოებიც, როგორიცაა შპრინგერის პრესა და მიუნხენის ძირგამომთხრელი რადიოსადგურები.

სტატიაში ნათქვამია, რომ დასავლეთის პროპაგანდის ცილისმწამებლურ გამოსვლებს აძლიერებენ იმ მიზნით, რომ შეცდომაში შეიყვანონ კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელები, რომლებსაც დაეკისრათ ეკონომიური კრიზისის მთელი ტვირთი. სწორედ ისინი, ვისაც არ შეუძლია საკუთარი მოქალაქენი უზრუნველყოს ადამიანის ძირითადი უფლებებით — შრომის, განათლების უფლებით, მატერიალურად, აძლიერებენ თავიანთ გამოხდომებს სოციალისტურ ქვეყნების წინააღმდეგ, სადაც ყველაზე თანამიმდევრულად და სრულადაა უზრუნველყოფილი ადამიანის ყველა უფლება, ხაზს უსვამს „რუდე პრავო“.

კვიპროსის ლტოლვილთა ურილოგაზე

ᲜᲘᲙᲝᲖᲘᲐ. (საკლესი). კვიპროსელ ლტოლვილთა ურილობაზე, რომელიც აქ მიმდინარეობს, მისმა მონაწილეებმა მოითხოვეს დაუყოვნებლივ შესრულდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებანი კვიპროსის შესახებ. კვიპროსის პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტა, ნათქვამია ყრილობის გადაწყვეტილებებში, მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციების ფარგლებში და კვიპროსის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივცემის პირობებშია შესაძლებელი. დელეგატებმა მხარი დაუჭირეს საბჭოთა წინადადებას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში მოიწვიონ წარმომადგენლობითი საერთაშორისო კონფერენცია კვიპროსის შესახებ.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. (საკლესი). 1976 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობამ 214 მილიონ 659 ათას კაცს მიაღწია — მილიონ 630 ათასით მეტს, ვიდრე 1975 წელს, იუწყება ამერიკის შეერთებული შტატების აღწერის ბიურო.

ყველაზე სწრაფი ზრდა აღინიშნა ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთსა და დასავლეთში, სადაც მოსახლეობის რიცხვმა 107 მილიონ 417 ათას კაცს მიაღწია. ეს ნიშნავს, რომ ახლა პირველად ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს არა ჩრდილო-აღმოსავლეთში, არამედ მის სამხრეთ და დასავლეთ ნაწილში.

მოსახლეობის რიცხვის ასეთ გადანაწილებას ამერიკელი სპეციალისტები მთელი რიგი ფაქტორების მოქმედებით ხსნიან. მათგან უმნიშვნელოვანესი ის არის, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე შეიმჩნეოდა ამერიკის ტრადიციულად აგრარული სამხრეთის შედარებით სწრაფი ინდუსტრიალიზაცია ჩრდილოეთის „ძველ“ სამრეწველო რაიონების გაძლიერებული დაქვეითების ფონზე.

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘ

ტელეტაიპის ლენტიდან

ᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲓᲐᲜᲛᲖᲘᲓᲘ

● **ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ.** გალაცის გემთსაშენში დაიწყო 55 ათასი ტონა წყალწყვის საზღვაო მადანმზიდის მშენებლობა.

გემთსაშენში დიდი მუშაობაა გაწეული საწარმოს პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციისათვის, დადგმულია დამატებითი თანამედროვე მოწყობილობა.

ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ

● **ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ.** ამერიკის დედაქალაქის მოსახლეობის რიცხვი განუწყვეტლივ მცირდება. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების აღწერის ბიურო იუწყება, შარშან 1970 წელთან შედარებით მცხოვრებთა რიცხვი ვაშინგტონში 7,3 პროცენტით შეცირდა და 702 ათასი შეადგინა.

ახეთი მდგომარეობის მთავარი მიზეზებია უმუშევრობა, საქალაქო ტრანსპორტის პრაქტიკული უქონლობა, დამნაშავეობის მაღალი დონე, ცხოვრების პირობების განუწყვეტელი გაუარესება.

ᲐᲚᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ ᲜᲐᲕᲗᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲒᲐ

ზუგდიდი

გვატყობინებს ჩვენს საკუთარი კორესპონდენტი

ქართული ფაიფური

თითქმის ერთი წლის ისტორია აქვს ფაიფურის ქარხანას, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში ერთადერთი საწარმოა. დღეისათვის აქ 1300-მდე კაცი მუშაობს, მათ შორის თითქმის ყველა ახალგაზდა მუშაა. დღითიდღე ღონეს იკრებს, იხვეწება და სრულყოფილ ხდება წარმოების ცალკეული რგოლები, მისი პროდუქცია, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა. ქარხანა წელიწადში 7 ათას ცალ ფაიფურის ნაკეთობას ოშვებს, წლეულს კი უკვე მოახმარებელს 6 მილიონ 300 ათასი მანეთის პროდუქციას მიაწვდის.

ქარხანა თანდათანობით ფართოვდება, გაიზრდება მისი წარმადობა. წლის ბოლომდე მწყობრში ჩაღგება რიგით მესამე გიბარაბინული ღუმელი, დამონტაჟდება ხუთი ახალი ხაზი.

სპეციალისტთა სამჭედლო

ტექნოლოგიურ ტექნიკუმს (დირექტორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ზონია) 48 წლის ისტორია აქვს. ამ ხნის განმავლობაში ტექნიკუმმა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგს 5 ათასზე მეტი კვალიფიციური სპეციალისტი მოუმზადა.

ტექნიკუმის კოლექტივი რაიონში და ქალაქში ამა თუ იმ დარგის დანერგვასთან ერთად ახალ დარგებს ხსნის. ასე, მაგალითად, როცა ქალაქში მომრავლდა საწარმოები, აშენდა ჩაის ფაბრიკები, დღის წესრიგში დადგა სამუალო კვალიფიკაციის ტექნოლოგების აუცილებლობა, ტექნიკუმში შეიქმნა პროდუქტთა ტექნოლოგიის განყოფილება. ენერგეტიკის გამოლილი მშენებლობისათვის ადგილობრივი კადრების მომზადების მიზნით ტექნიკუმთან გაიხსნა სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სპეციალობა, ხოლო როცა ფაიფურის ქარხნის მშენებლობა დაიწყო, ფაიფურის ტექნოლოგიის განყოფილებაც და სხვ.

ამჟამად ტექნიკუმში რესპუბლიკის 16 რაიონიდან და ქალაქიდან ჩამოსული 1.700-მდე ახალგაზრდა იღებს მშენებლის, პროდუქტთა ტექნოლოგის, ბუღალტერ-ეკონომისტის, საქონელმცოდნის, ფაიფურის, ცელულოზისა და ქაღალდის ტექნოლოგის კვალიფიკაციას.

გოტანიკური ბაღის ახალი სიცოცხლე

ქალაქის მშვენება, უნიკალურ ბოტანიკურ ბაღმა, რომელსაც 25 ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს, რეკონსტრუქციო-გაფართოების სამუშაოები ჩატარდა. დაირგო ახალი ჯიშის მცენარეები, ბევრი უნიკალური მცენარე, მათ შორის მარადმწვანე საკვლია გადაშენებას გადაარჩინეს. მოეწყო მცენარეთა და ყვავილთა სანერგე მეურნეობა. ბაღის დირექციამ (დირექტორი ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. თოდუა) საბჭოთა რაიონებში შეაგროვა ვაზის ძველი უნიკალური ჯიშები, რომელთა ეგზემპლარები იშვიათობაა და ბაღის ტერიტორიაზე გადაშენა.

ბაღში გაიბურთა არტეზიული ჭა, რითაც ხელოვნური ტბა აუზრუნველყო ფილიქრა წყლის მარაგით. ტბაში ახლა ბინადრობენ გაგრიდან ჩამოყვანილი და აკლიმატიზებული გედები.

ბ. ნოდია.

• • •

სურათზე: ზუგდიდი. კავშირგაბმულობის შენობა და ახალი საცხოვრებელი სახლები ორკონიკიძის ქუჩაზე.

ბ. სოკოლოვის ფოტო.

მკითხველის კალმით

● **ცაგერი.** (საკ. კორ.). რაიონის საგაკრო ქსელს კიდევ ერთი ახალი ობიექტი შეემატა — სოფელ ოყურეშში დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა კაპიტალური, ორსართულიანი საგაკრო ცენტრის ახალი შენობა. მის პირველ სართულზე მოთავსებულია სამრეწველო საქონლის მაღაზია, ხოლო მეორე სართულზე ახლო მომავალში გაიხსნება რესტორანი და სოფლის სასტუმრო.

საგაკრო ცენტრი გარდა ოყურეშისა მოემსახურება სოფლებს ზუბს, ისუნდერს, მახურასა და ოფიტარას.

● **ამბროლაური.** მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის რესპუბლიკის რაიონებს შორის გამართულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ამბროლაურის საგზაო საწარმოო უბანი (უფროსი პ. ბაკურაძე) საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს კოლეგიამ და ავტომაბილისტთა გზატკეცილების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა გამარჯვებულად ცნეს და ფულადი პრემიით დაჯილდოვეს.

აკ. კერესელიძე.

● **ხელვაჩაური.** ბათუმის № 1 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები სოფელ მაგალოურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მშრომელებს „ოქროს რთველში" დაეხმარნენ. მოსწავლეები ლ. დიასამიძე, მ. დავითაძე და გ. კვეელიძე ყოველდღიურად 200 კილოგრამ მანდარინს კრეფდნენ. პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებმა სულ 100 ტონა ციტრუსი მოკრიფეს.

გ. ჩხაიძე.

● **ჩოხატაური.** კინოთეატრ „გურიის" დარბაზში გაიმართა ქართული კინოს პოპულარული მსახიობის იპოლიტე ხვიჩიას შემოქმედებითი საღამო.

მსახიობის შემოქმედებაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კინოხელოვნების პროპაგანდის ბიუროს საქართველოს სალექციო განყოფილების გამგე ი. დუმბაძე.

ლ. გურგენიძე.

გამოფენის ჯილდოები

მიღებულია ციმბირული ყალლის საწინააღმდეგო ვაქცინა

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა ჯგუფი ინსტიტუტის დირექტორის დოცენტ ი. გიორგაძის ხელმძღვანელობით უკანასკნელ წლებში აწარმოებდა კვლევას ახალი სამკურნალო-პროფილაქტიკური პრეპარატის — ციმბირული წყლულის საწინააღმდეგო ანტიტოქსიკურ-ანტიბაქტერიული ლიმფინის მისაღებად.

ამ პრეპარატის მიღება აუცილებელი იყო იმის გამო, რომ ამერიკელმა და საბჭოთა მეცნიერებმა უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე აღმოაჩინეს ამ დაავადების აღმძვრელი მიკრობის ტოქსინი (შხამი), რომელსაც, როგორც დადგინდა, ძირითადი მნიშვნელობა აქვს ამ დაავადების პათოგენეზში. ამ აღმოჩენამ შეცვალა ძველი წარმოდგენა, რომლის თანახმად მთავარ როლს მოაკუთვნებდნენ მხოლოდ ბაქტერიულ სხეულებს.

თბილისელი მეცნიერი მუშაკების მიერ შექმნილი ახალი ბიოლოგიური პრეპარატი, რომელმაც წარმატებით გაიარა კლინიკური გამოცდა და დანერგვლია წარმოებაში, ძველისაგან განსხვავებით შეიცავს ანტიტოქსიკურ და ანტიბაქტერიულ სამკურნალო საწყისებს. თბილისის ინსტიტუტი ერთადერთი ინსტიტუტია საბჭოთა კავშირში, რომელიც ამ პრეპარატებს ამზადებს.

და აი ახლახან მოსკოვიდან მიღებულ ცნობა, რომ **თბილისელი მეცნიერი მუშაკების ნაშრომისათვის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებით ინსტიტუტი დაჯილდოებულია პირველი ხარისხის დიპლომით.**

ამასთან ერთად თემის ხელმძღვანელი და პირველი ავტორი, დოცენტი ი. **გიორგაძე** დაჯილდოებულია გამოფენის ოქროს მედლით, ხოლო ქიმიკოსი **თ. სვანაძე** — ბრინჯაოს მედლით. ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები **ბ. სოლოვიოვი, მ. ნათიძე, ი. მატვეევა** და **დ. გოგიაშვილი** დამტკიცებული არიან გამოფენის მოხაწილეებად.

(„კომუნისტის" კორ.).

ეს საქართველოს სანაცხებია...

მთაო, გადმიშვი.

ა. არაბულის ფოტოეტიუდი.

დიდი სიმართლე

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

სიტყვა გ. ციციშვილის ნოველების წიგნზე

დიდი ხანი არ არის, რაც გამოქვეყნდა ბ0ორბე ციციშვილის ნოველების წიგნი „სიყვარული სისხლის ფიმეების დრეს", რომელსაც ფართოდ გამოეხმაურა ჩვენი ნაციონალური კრიტიკა. ცნობილმა ქართველმა მწერლებმა, კრიტიკოსებმა, ომის მონაწილეებმა მაღალი შეფასება მისცეს ნაწარმოებს.

მიმდინარე ლიტერატურული პროცესის თანამედროვე ეტაპზე ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების გამუქებაში შეინიშნება ახალი ასპექტები, მათი დღევანდელობის თვალით დანახვა. ბუნებრივია, რომ დღეს წინა პლანზე წამოწეულია ჰუმანიზმის, მშვიდობის, მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის ზოგადკაცობრიული იდეალები, მეტ სიღრმეს იძენს მოვლენათა ფილოსოფიური გააზრება და სრულყოფილი ხდება მხატვრული ფორმა.

ამ თვალსაზრისით საბჭოთა ლიტერატურაში ღირსეული წვლილი შეიტანა გიორგი ციციშვილმა, მან შეძლო მხატვრის თვალით დაენახა დროის კონკრეტულ-ისტორიული მოვლენები, განეზოგადებინა ისინი და პერსონაჟთა კერძო ნიშნები აემაღლებინა საბჭოური ხასიათის ღონემდე (საბჭოური ხასიათი კი, ცხადია, არ არის უეროვნო).

სარეცენზიო ნოველებში ავტორისათვის უმთავრესია ადამიანი, მისი სული, რომელიც ესოდენ გააშიკლა მძიმე ოთხწლიანმა ომმა. მან კიდევ უფრო გამოამკარავა შინაგანი ჭიდილი, ადამიანური განცდები. ყოველივე ეს ნოველებში დაურულებელ პერიპეტიებს ქმნის და მძლავრ ემოციურ-ესთეტიკურ გავლენას ახდენს მკითხველზე.

მწერალმა შექმნა დიდი და ნამდვილი სიმართლე, რომელიც მხოლოდ ჭეშმარიტ ხელოვნებას ახასიათებს.

ნოველები საინტერესოა მხატვრული ფორმის თვალსაზრისითაც. თხზულებებში გამომჟღავნდა ქართული ნოველისტური ჟანრის საუკეთესო ტრადიციები და თავის მხრივ შინაარსობრივადაც და ფორმითაც გაამდიდრა იგი. ნოველების თემატიკურ ციკლს აერთიანებს მთავარი გმირი, რომელიც ყველა ნოველის ცენტრალური სახეა და ისე ორგანულად აკავშირებს მათ, რომ ნოველათა მთელი ციკლი გვესახება ერთ მთლიან ნაწარმოებად, რომელსაც თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ მხატვრული ეპოპეა, დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების ფართო მასშტაბით ამსახველი ნაწარმოები — პანო.

ამ ნაწარმოებებში მჟღავნდება ავტორის მთლიანი მხატვრული კონცეფცია, მისი ესთეტიკური პრინციპები. ამას ადასტურებს ყოველი ნოველა, ყოველი ლიტერატურული გმირი თუ სახე, ნაწარმოების მხატვრული შენების სტრუქტურა, რითაც ვლინდება ავტორის თვალთახედვა და სტილი. ამ ქმნილებებში ნათლად გამოჩნდა მაღალი მწერალ-შემოქმედისა, მოკალაქე-პატრიოტისა, „ცეცხლის ხაზზე" იარაღით მებრძოლი საბჭოთა ოფიცრისა, ადამიანისა, რომელიც მკაფელესთეტიკურ-მხატვრულ პოზიციას აღგას და ღრმად აქვს გააზრებული ხალხთა ისტორიული ყოფა, ფსიქიკა, კულტურა და საერთოდ მთელი სულიერი ცხოვრება. ამიტომ გ. ციციშვილთან არსად არ გვხვდება ნაუცბათევი პასაჟები. მასთან ყველა კომპონენტი და მხატვრული დეტალი შერჩეულია საგანგებოდ და სიუჟეტის განვითარების ლოგიკურ რგოლს ქმნის. მხატვრულ ქსოვილში დროდადრო თავს იჩენს მოვლენათა ფილოსოფიური გააზრება, რაც ალეგორიულ-სიმბოლური ფორმებით ვლინდება. იგრძნობა, რომ ავტორი მყარად დგას ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიციებზე. ამ შემთხვევაში მდიდარი კლასიკური ლიტერატურის შემოქმედებითს ათვისებას ეგულისხმობთ.

ზოგიერთისათვის ომის საშინელება თავზეხელაღებულობის, ადამიანურობაზე უარის თქმის, სიმდაბლისა და სულიერი გახრწნილების ფაქტორია. გ. ციციშვილის კონცეფცია საპირისპიროა: მორალურად ძლიერი ადამიანები „სისხლის წვიმების" დროსაც ინარჩუნებენ და კიდევ უფრო გაამტკიცებენ თავიანთი ხასიათის დადებით მხარეებს.

გ. ციციშვილმა თავის ნოველებში („ყველაზე დიდხანს ცოცხლობს იმედი", „შენც გეწყება ჟამი სინანულისა", „იჭვი") გაამდიდრა რუსი და უკრაინელი ფრონტელი ქალების მხატვრული გალერეა, შექმნა ნამდვილი ხასიათები, შენიშნა მათში ძლიერი ენებათა ღელვაც, მაგრამ ყოველივე ეს სახალხო დიდი ტაქტით, მხატვრული ზომიერებით.

გ. ციციშვილის ნოველათა იდეურ-ესთეტიკური კონცეფციით სიყვარულია ის დიადი ძალა, რომელებიც ჭეშმარიტ ადამიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, „კაცობისა და სიცოცხლის გვირგვინია", იგი გვიძღვის წინ ვითარცა ღამპარი, გვამხნევებს, რწმენას გვმატებს, შთაგონებას აღვივებს, მეგობრობისა და თავდადებისაკენ გვიბიძგებს, აღგვანთებს და მიუვალ ციხე-ქალაქებს აგვაღებინებს.

ჟანრული თვალსაზრისით განცალკევებით დგას „არფანას" ნოველების ციკლი. მდიდარი კომიკური სიტუაციები, ღაღი იუმორი, თითქმის ყოველი პერსონაჟისათვის საგანგებოდ შერჩეული მეტყველების სტილი და ჯანსაღი მამაკაცური ხარხარი, გამოდმებით რომ ისმის ამ ნოველებში, ოპტიმისტურ ჟღერას ანიჭებს მთელ ამ ნაწარმოებს.

„არფანას" (ისევე როგორც ყველა სხვა ნოველის) ცენტრალური სახეა გიორგი ხვედურელი. იგი ასახავს ოფიცრის ძმიმე ფრონტულ ცხოვრებას. ამ სახეში თავს იჩენს, როგორც უკვე სალიტერატურო კრიტიკამ აღნიშნა, ავტორის პირადი განცდები, მისი ბიოგრაფიული რეალიებიც, რომელსაც ლირიკულ სამყაროში გადაჰყავს მკითხველი და ნაწარმოებს დოკუმენტურობის იერს ანიჭებს. ეს მხოლოდ და მხოლოდ ავტორისეული ხერხია. ჩვენ არ გვინდა, რომ გ. ციციშვილის ნოველები „დოკუმენტურ პროზად" გამოვაცხადოთ. მთავარი სწორედ ის არის, რომ მწერალმა შეძლო განცდილისა და ნანახის ფართო განზოგადება და კეკრძოში საზოგადოებრივის, ტიპობრივის დანახვა. ამ თვალსაზრისით გიორგი ციციშვილის ნაწარმოების პრობლემატიკა სცილდება დადა სამამულო ომის წლების სინამდვილეს და თანამედროვეობასაც, ჩვენს ხვალინდელ დღესაც სწვდება. გ. ციციშვილის „ნოველებში" დანახულია ზოგადადამიანური პრობლემები. ავტორი ფხიზელი კრიტიკული თვალით აფასებს მოვლენებს, პიროვნებებს და მაღლდება ყოველდღიურობაზე, ამსელს ფორმალიზმს, კარიერიზმს, ბიუროკრატიზმს, ცილისმწამებლობას, პროტექციონიზმს, პოდალოკვინგს იახონტოვს და მის მსგავს ტიპებს, რომელებიც დიდ ტკივილებს აყენებენ პატიოსან ადამიანებს.

ავტორი ამით არ იფარგლება. იგი სიღრმეში იქქირება და ცდილობს სინამდვილისა და სიყალბის, სიმართლისა და სიცრუის ფილოსოფიური საფუძველი იპოვოს. ამიტომ ერთის შეხედვით „თითქოსდა სრულიად განცალკევებით მდგარი ნაწარმოები „ალმა ჩრდილოეთში", ფრიად საყურადღებო ადგილს იკავებს ნოველების იდეურ-თემატიკურ რკალში. მასში დაყენებულია ფილოსოფიური და ლიტერატურული სამყაროსათვის ცნობილი დილემა: რა უფრო გვანიჭებს ბედნიერებას ან რა უფრო ემსახურება მიზანსა და პროგრესს, მწარე სიმართლე თუ მათრობელა ტყუილი. იგი მიუკერძოებლად დებს სასწორზე ტყუილ-მართლის ყველა პლუს-მინუსს და, როგორც მოსალოდნელი იყო, კეისარს კეისრისას უძღვნის.

ხვედურელის სახე კრებითია. მასში მკითხველი გრძნობს ახალგაზრდა საბჭოთა ოფიცრის მგზნებარე გულისცემას. ეჭვი არ გვეპარება, რომ ხვედურელის სახე სათანადო ადგილს დაიკავებს თანამედროვე პროზის მხატვრულ გალერეაში.

შესაძლებელია ნაწარმოებიდან მოგვესმოდეს პუბლიცისტური ინტონაციებიც, ცალკეულ შემთხვევაში კი შეგვხვდეს უმაქნისი განმარტებები და მრავალსიტყვაობა, ან კიდევ სხვა მისთანანი, მაგრამ ამგვარი რამ მეტად იშვიათია.

გ. ციციშვილის ნოველები ქმნის ერთიან ფართო მხატვრულ ტილოს, თხზულებაში აღბეჭდილი გმირები, მეგობრულად ხელჩაკიდებულნი და ერთ არსებად ქცეულნი, სისხლის წვიმებში, ცეცხლოვანი გზებით, სიყვარულისა და სამართლის დროშით ხელში შეუდრეკლად მიაბიჯებენ წინ. „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის"! — ასეთია მათი ზნეობრივი დევიზი, რომელიც კიდევ უფრო გამძაფრებულია გაფაქიზებული სტრფიალო გრძნობით. ავტორი მიზანს აღწევს, მისი იდეურ-მხატვრული, ზნეობრივი და ესთეტიკური კონცეფცია თანამედროვე საზოგადოების მაღალმხატვრულ აზროვნებასა და ეთიკურ დონეს მოწმობს.

დ. თევზაძე,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ფეხბურთი

12 ივნისი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე ფერადი სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენი ჩემპიონები", 11.00 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — დოკუმენტური ფილმები „დილა მშვიდობისა" და „მოკითხვის ბარათები" ფერადი გამოსახულებით, 12.05 — „კინომგზაურობის კლუბი" — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.45 — განცხადებები, 17.50 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — ფერადი დოკუმენტური ფილმი „სადღეგრძელო", 18.15 — მოსწავლეთათვის — გერმანული ენა, 18.45 — „ეს ყველამ უნდა იცოდეს", 19.20 — „აფხაზეთი — მეათე ხუთწლედის პირველი წელი" რუსულ ენაზე (გამეორებით), 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — ფერადი დოკუმენტურ-მუსიკალური ფილმი „მღერის ცისფერი ტრიო", 20.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნაკრძალი ადგილები", 21.10 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „თავგადასავლები შორეულ ჩრდილოეთში" (II სერია) ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ხელოვნების ოსტატები" სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. ულიანოვი (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — ბავშვებისათვის ფერადი მხატვრული ფილმი „მეცამეტე გაზაფხული", 19.35 — განცხადებები, 19.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მთავარი კონსტრუქტორი" (I სერია), 20.40— ფერადი მხატვრული ფილმი „გიორგი სედოვი".

13 ივნისი

პირველი პროგრამით

06.35 — ქართული საოპერო მუსიკა, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 08.32 — მსუბუქი მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ფანტაზიები საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერების თემებზე, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — რ. ეორელაშვილის კონცერტი, 11.40 — „წარდგენილია რუსთაველის სახელობის პრემიაზე": კ. კალაძე — „მხოლოდ ახალი, მხოლოდ რჩეული", 12.15 — სიმღერები მ. ბერნესის შესრულებით, 12.25 — „სცენის ოსტატები", 12.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.45 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.50 — „ეკრანის მელოდიები", 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — ვ. ცაგარეიშვილი — კამერული ნაწარმოებები, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა" — ლ. ჭიაჩელი — „ტარიელ გოლუა" (დასასრული), 14.20 — ი. ბრაუსი — სავიოლინო კონცერტი, 17.15 — მღერის გურჯაანის რაიონის თვითმოქმედი ანსამბლი, 17.35 — მოსწავლეთათვის — „კოლუმბის შეცდომა", 18.10 — ე. ჯაბადარი „ქართული რაფსოდია", 18.45 — მღერის ლ. ზიკონა, 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი — საუბარი „სკკპ ლენინური ეროვნული პოლიტიკა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის /დღეების ხორცშესხმაა", 19.20 — დ. თორაძე — სიმღერები კინოფილმიდან „დღე უკანასკნელი, დღე პირველი", 20.30 — ჯ. ვერდი — ნაწყვეტები ოპერა „რიგოლეტოდან", 21.00 — „ილესპირული", 21.10 — კონცერტი-საუბარი „ნ. ქუმსიაშვილი", 22.00 — გ. ჩიქოვანი — „დაბრუნება" რადიოდადგმა, 23.30 — ვ. სოლოვიოვ-სედოი — სიმღერები.

თეატრი

12 ივნისი

ბოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ძალის ტვირთი (პრემიერა); კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — საბრალდეგო დასკვნა.

ფლეივანდელი ფეხბურთის კონტურები

საკდესის კორესპონდენტი შეხვდა სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსს ა. ერიომინს და ინტერვიუ ჩამოართვა მას. აი, რა გვიამბო ახალი სეზონისათვის საბჭოთა ფეხბურთელების მზადების შესახებ ა. ერიომინმა:

— ძნელი და პასუხსაგები სეზონი მოელით ჩვენს ფეხბურთელებს. სსრ კავშირის ნაკრები გუნდი უკვე აპრილში გამართავს 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ორ შესარჩევ მატჩს. ვფუქრობთ, რომ გუნდი უნდა დაკომპლექტდეს დღეისათვის საუკეთესო ფეხბურთელებით. მოთამაშეები ძირითად მომზადებას გაივლიან ნაკრებში და კლუბებში. ამიტომ გუნდების მწვრთნელებს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ. ნაკრები გუნდის დამრიგებლები თვითეული ფეხბურთელისათვის შეიმუშავებენ სპეციალურ გეგმებს, რომელთა მიხედვითაც უნდა იკარჯონენ მათ კლუბებში. ამედი მაქვს, რომ სპორტული ორგანიზაციებიც არ მოაკლებენ კონტროლს ამ მუშაობას. მხოლოდ ნაკრებისა და კლუბების მწვრთნელთა ასეთი მჭიდრო თანამეგობრობის პირობებში გვექნება იმის წარმოდგენა, რომ წარმატებით ვიისპარეზოთ საერთაშორისო სარბაელზე.

ამასთან ვეცდებთ, რომ არსებითად არ ვცვალოთ ხოლმე ისედაც დამაბული კალენდარი. გუნდს შეუძლია გადაატანინოს მატჩი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაკრებში ორზე მეტი ფეხბურთელს გაგზავნის.

— როგორც ცნობილია, ასეთი აზრია დამკვიდრებული: „კარგი კლუბები კარგი ნაკრებია". ხომ ვერ გვეტყოდით, რა ამოცანები დგას საკლუბო გუნდების წინაშე?

— ჩვენი ბევრი კლუბის თამაში ჯერჯერობით ვერც სპეციალისტებს და ვერც ფეხბურთის მოყვარულებს ვერ აკმაყოფილებს. მწვრთნელებმა უნდა გააუქმებინონ საქმის ორგანიზაცია გუნდებში, სრულყონ წვრთნის მეთოდიკა, ფეხბურთელები კი უფრო სერიოზულად მოეკიდონ ვარჯიშს, აამაღლონ დისციპლინა. დაკვა დრო, როცა არგუმენტირებულად ვეღარ ილაპარაკებ ფეხბურთელის ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებაზე, თუ მწვრთნელს ხელთ არა აქვს სამეცნიერო კონტროლის მონაცემები. წარსულ სეზონში ხშირად ტაქტიკური საშუალებებს არსებულიც გვდალატობდა.

— თქვენ არაფერი გიბრძანებიათ ევროპის ტურნირებში ჩვენი გუნდების გამოსვლის შესახებ.

— ერთადერთი გუნდი, რომელაც წარმატებით გაგვლო რადენიმე ეტაპი, ეს არის კიევის „დინამო". როგორც ქვეყნის საშემოდგომო პირველობის მატჩებმა და საერთაშორისო შეხვედრებმა ცხადყო, კიეველები უწინდებურად ათამაშებენ. აი, დონეცკის „შახტიორმა" კი ნამდვილად გაგვიცარა იმედი, რადგან სათანადოდ ვერ მოემზადა მატჩებისათვის. ვერც თბილისის „დინამომ" დამრიგებლებმა შეძლეს ჯეროვნად განეწყოთ და მოემზადებინათ გუნდი ისეთ კლუბთან თამაშისათვის, რომელიც ეერფრით ვერ სჯობია თბილისელებს. და ეს დამარცხება თბილისელებმა უწარნარეს ყოველისა საკუთარ თავს უნდა დაბრალონ...

შარშანდელი საფეხბურთო სეზონი ფრიად წარმატებული გამოდგა ჩვენი ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრები გუნდებისათვის. ჭაბუკთა ნაკრები გუნდის ფეხბურთელებმა უეფა-ს ტურნირში გაიმარჯვეს, ახალგაზრდული ნაკრების წევრები კი ევროპის ჩემპიონები გახდნენ. მაგრამ ჩვენ მაინც არ გვაკმაყოფილებს ბავშვთა ფეხბურთის საქმის მდგომარეობა, ვინაიდან ახალგაზრდა სპორტსმენთა მომზადების დონე სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას. მაგალითად, ლატვიის, ტაჯიკეთის, აზერბაიჯანისა და მოლდავეთის სპორტულ სკოლებში ოსტატთა გუნდებისათვის სულ თითო-ორული ფეხბურთელი მოამზადეს. ჩვენ საფუძვლიანი შემოწმება მოვაწყვეთ და გამოვარკვიეთ, რომ ბევრ საბავშვო სპორტსკოლაში ძველებურად მუშაობენ, სქემატურად იყენებენ ოსტატთა გუნდებისათვის დამახასიათებელ წვრთნის მეთოდებსა და ფორმებს. ერთ-ერთი მთავარი მიზეზია მწვრთნელების დაბალი კვალიფიკაცია: სპორტსკოლებში მომუშავე მწვრთნელთა მხოლოდ ნახევარს თუ აქვს უმაღლესი ფიზკულტურული განათლება. შემთხვევითი როდია, რომ ბევრი მწვრთნელი ჩივის, ჭაბუკები ოსტატთა გუნდებში ტექნიკურად ცუდად მომზადებული მოდიან და მათთვის ანაბანის სწავლება გვიხდებაო.

წლეულდელ სეზონში ოსტატთა გუნდების მწვრთნელთა ატესტაციის შემდეგ ასევე გამოვცდით ჭაბუკთა დამრიგებლებსაც. მათს შუმაობას ახლა გუნდების საკავშირო შეჯიბრებაში გამოსვლების შედეგების მიხედვით კი არ შეგაფასებო, არამედ უმაღლესი, პირველი და მეორე ლიგების ღა, რა თქმა უნდა, ქვეყნის ნაკრები გუნდის კანდიდატთა მომზადების ხარისხის მიხედვით.

— აქ, ალბათ, უნდა გავიხსენოთ მწვრთნელთა კადრების ის სერიოზული მომზადება, რომელსაც ეწეოდით და კვლავაც გასწევთ ოსტატთა გუნდების დამრიგებლებს შორის.

— ამ მიმართულებით ნაბიჯი თითქმის ერთი წლის წინ გადადგა. პირველად გაიხსნა მწვრთნელთა უმაღლესი სკოლა. ამ სეზონის ბოლოს პირველი გამოშვებაც გვექნება. სკოლის მსმენელთა შორის გვყავანან ისეთი ცნობილი ოსტატები, როგორიც არიან კახა ასათიანი (თბილისის „დინამო"), ვენდი ლოგოფეტი (მოსკოვის „სპარტაკი"), ვლადიმერ ფედოტოვი და ვლადიმერ კაპლიჩნი (ორიენტი — ცსკა), ედუარდ მალოფეევი (მინსკის „დინამო") და სხვები.

ინერის დამდეგს მუშაობას შეუდგება კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, რომელებზეც დაახლოებით ერთ თვეს ამეცადინებენ უმაღლესი ლიგის ოსტატთა გუნდების მეორე მწვრთნელები და მეორე ლიგის კლუბების დამრიგებლები. კვლავხელებურად განვაგრძობთ წამყვანი მწვრთნელების საზღვარგარეთის კლუბებში და ახალგაზრდა დამრიგებლების ოსტატთა გუნდებში სტაჟირების პრაქტიკას.

— წინა სეზონში ბევრი საყვედური გამოითქვა ამირებთ მართ. რის გაკეთებას აპირებთ მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის?

— თუმცა, ჩვენი აზრით, მსაჯობაში გარკვეული ძვრა შეიმჩნევა (ჩვენ უკვე გვყავს ახალგაზრდა, ნიჭიერი არბიტრები), მაინც ბევრი პრობლემა გვაქვს გადასაჭრელი. წლევანდელ სეზონში ჩვენ შევამეცინებთ უმაღლესი ლიგის მომსახურე არბიტრების რიცხვს და უფრო ხშირად ჩავგამთ ხოლმე მსაჯობაში ფეხბურთელებს, რომლებმაც უკვე დაამთავრეს თავიანთი სპორტული „კარიერა". შემდგომში გაპირებთ მოვავაროთ და სერიოზულად მოვაწყოთ არბიტრების სწავლება, ისევე, როგორც მწვრთნელთა სწავლების საქმე დავაყენეთ.

მთელი ჩვენი მუშაობის მიზანია ხელი შევუწყოთ საბჭოთა ნაკრების წარმატებით გამოსვლას, ფეხბურთელთა სპორტული ოსტატობის ამაღლებას და ღირსეული ცვლის მომზადებას. (საკდესი).

ნილისყრა შედგა

ფეხბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში **კიევის „დინამო"** შეხვდება **მიუნპენის „ბავარიას".** ეს დადაწყდა წილისყრის შედეგად, რომელიც უეფა-ს შტაბ-ბინაში გაიმართა. დანარჩენი მეოთხედფინალური წყვილები ასე გამოიყურება: „სენტ-ეტიენი" (საფრანგეთი) — „ლივერპული" (ინგლისი), „ბორუსია" (მენჰენგლადბახი, გფრ) — „ბრიუგე" (ბელგია), „ციურიხი" (შვეიცარია) — „დინამო" (დრეზდენი, გდრ).

კიევის დინამოელები პირველ მატჩს გამართავენ მიუნპენში 2 მარტს, ხოლო 16 მარტს საკუთარ მოედანზე მიიღებენ მეტოქეს.

ევროკუპი

სამი ტურის შემდეგ

ბრაზილია — მსოფლიოს ჩემპიონატის საბჭოთა [illegible] ბრაზილია, გოგონა[illegible] ბრაზილიელ [illegible] ბრაზილიელი ნისტემით ტარდება, 9 ტურად.

პირველ ტურში ქ. მელაშვილმა მოუგო ნ. გურიელს, ნ. ოსიელიანმა წაგო მ. აფინოგენოვასთან (ლენინგრადი).

მეორე ტურში ქ. მელაშვილმა დაამარცხა ე. რუფიცკაია (რუსეთის ფედერაცია), ნ. გურიელმა — დ. მაგორსკაია (ბელორუსია), ნ. ოსელიანმა — რ. ასაბინა (ტაჯიკეთი).

მესამე ტურში ქ. მელაშვილმა დაამარცხა ე. სტუბინა (რუსეთის ფედერაცია), ნ. გურიელმა — ტ. მინოგინა (მოსკოვი).

ვაჟთა ტურნირში თბილისელმა ი. ეფიმოვმა დაამარცხა ჯერ ო. ანაგელდიევი (თურქმენეთი) და ვ. ეპიშინი (ლენინგრადი), ხოლო შემდეგ ვ. კასპაროვთან (აზერბაიჯანი) ყაიმით დაამთავრა პარტია.

სუსტად გამოდის ჯერჯერობით სსრ კავშირის ვიცე-ჩემპიონი ჭაბუკებში ზ. სტურუა,